ყოველი ბოროტია, „ეროსია“ ერთი

ეროსი

ფასი 50 თეთრი

№104 (999) 29 - 30 ოქტომბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ახალი სკანდალი „მაესტროზე“

„მაესტროს“ „ფეისები“ GDS-ზე მიდიან?

გვ. 4

უკავშირდება თუ არა არხზე შექმნილი ფინანსური კრიზისი ეროსი კინწმარიშვილის საქმის გამოძიებას

ექსკლუზიური ინტერვიუ განათლების მინისტრთან

გვ. 3-5

როდის და რამდენით გაიზრდება პედაგოგებისა და მეცნიერების ხელფასები, რა ბედი ელის დანგრეულ სკოლებს

„როცა საქმე 60 000 მასწავლებელს ეხება, ბოლომდე პრინციპული დავრჩები!“

თამარ სანიკიძე ბრალდებებს პასუხობს

უფლის სასჯელი 8 თვის ორსულის მკვლელობისთვის

გვ. 7

როგორ ჩაუშვა ნარკომანმა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ნათესავის მკვლელები

პატიმრის დღიური

პრემიერის ანგარიში

გვ. 5

როგორ შეაფასა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს მთავრობის მუშაობის ორი წელი

გრიგოლ ვაშაძე

რუსეთი საქართველოს სამ ნაწილად დაყოფას გეგმავს?!

გვ. 6

„ჩემს წამლებს ებოლას ვირუსის დამარცხებაც შეუძლია“

დომენტი გაგნიძე ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენას სთხოვს გვ. 8

„ფონდ ნატახტარის“

ხელშეწყობით, მზრუნველობამოკლებული მოზარდები წარმატებულები და დამოუკიდებლები არიან გვ. 10

გვ. 7

„ავტოგაზის“ ყოფილი გენერალური დირექტორი დავით ბეჟუაშვილს ამხელს

როგორ გააკოტრეს ნაციონალებმა „ავტოგაზი“ და რას ითხოვენ კომპანიის ყოფილი აქციონერები

უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტი და პრემიერი კოორდინირებულად მოქმედებაზე შეთანხმდნენ

რუსუდან შელია
557-100-768

რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის შეთავაზებულმა შეთანხმების პროექტმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ერთ მაგიდასთან შეკრიბა. ერთწლიანი „გაბუტვის“ შემდეგ, ორსაათიანი სხდომა მშვიდობიანად დასრულდა — ქვეყნის პირველმა პირებმა პოლიტიკურ ასპარეზზე მიმდინარე საკითხებზე ერთობლივად იმსჯელეს და რთულ გამოწვევებზე გამკლავების გზებიც დასახეს. ყოველ შემთხვევაში, საუბრის დეტალები სხდომიდან გამოსულმა ირაკლი ღარიბაშვილმა და გიორგი მარგველაშვილმა საზოგადოებას ასე განუმარტეს. **„დღეს გამოვაჩინეთ, რომ ერთად მუშაობა შეგვიძლია და არ არსებობს საკითხი, რომელზეც ვერ ვთანხმდებით. ეს არის საკითხი, რომელზეც პრეზიდენტი, პრემიერი, მთავრობა, პარლამენტი და ყველა ერთსულოვანი ვართ და მომავალშიც ასეც ვიქნებით“,** — აღნიშნა პრემიერმა. პრეზიდენტმა კი განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე ის ურთულესი ვითარება განიხილეს, რომელიც აფხაზეთთან ხელშეკრულების გაფორმების ფონზე იქმნება.

საბჭოზე განხილული კონკრეტული ნაბიჯები, ბუნებრივია, არ გასაჯაროებულა, თუმცა პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ საკანონმდებლო ორგანო, მთავრობა და პრეზიდენტის ადმინისტრაცია კოორდინირებულად მოქმედებაზე შეთანხმდა.

მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების საბჭოს მთავარი მოქმედი პირები ადგილზე იყვნენ, სხდომა სრულყოფილი შემადგენლობით მაინც არ ჩატარებულა. სანამ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აფხაზეთის ანექსიის საფრთხეზე მსჯელობდნენ, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია გერმანიაში ვიზიტით იმყოფებოდა და როგორც მედიასთან განმარტა, საკითხის სიმწვავის მიუხედავად, უცხოეთში ოფიციალური ვიზიტი არ შეწყვეტა. მივლინებაში იმყოფებიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურიც. სამაგიეროდ, სხდომას, მოწვეული წევრის სტატუსით, პარლამენტის სამი კომიტეტის თავმჯდომარეები — ირაკლი სესიაშვილი, ვიქტორ დოლიძე და თედო ჯაფარიძე ესწრებოდნენ.

სხდომაზე მთავარი მომხსენებლის რანგში საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე იყო: **„ჩემი მოხსენება აფხაზეთისთვის შეთავაზებული შეთანხმების პროექტს და მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით, თანამეგობრობის კონსოლიდაციას ეხებოდა. ვისაუბრე გერმანიაში ჩემ ვიზიტზეც და საქართველოს საელჩოებისთვის მიცემული დავალებების შესახებაც. დაიგეგმა, რომელ საერთაშორისო ღონისძიებებზე უნდა დაისვას აფხაზეთის საკითხი მწვავედ“.**

აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, ხელისუფლების ერთსულოვნებაზე ისაუბრა უშიშროების საბჭოს სხდომის წევრმა, ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა ალექსანდრე პეტრიაშვილმაც. თუმცა იგი უშიშროების სხდომის დასრულების შემდეგ კოლეგებისგან განსხვავებით, რუსეთის შეფასებისას რადიკალური აღმოჩნდა და აფხაზეთისთვის შეთავაზებული პროექტი რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ღია ანექსიის მცდელობად შეაფასა.

სექტემბერ-იანვარში დანაშაულმა, წინა წელთან შედარებით, 16,55%-ით იკლო

შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით 2014 წლის სექტემბერში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2426 დანაშაული, აქედან 1619 გაიხსნა. დანაშაულის გახსნის პროცენტია – 66,74%.

წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დანაშაულის პროცენტული კლებაა — 12,45 %. 2014 წლის იანვარ-სექტემბერში კი, შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 19787 დანაშაული, აქედან 12529 გაიხსნა. დანაშაულის გახსნის პროცენტია – 63,32%.

წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა — 16,55 %.

„ვერსიანიუსი“

ზუგდიდში მომხდარი აფეთქების შედეგად სუს-ის თანამშრომელი დაიღუპა

სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შენობაში აფეთქება 27 ოქტომბერს, გვიან ღამით მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, ნგრევა წყლის ავზის აფეთქებამ გამოიწვია. გარდაცვლილია სამმართველოს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ზვიად ლაგვილავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მივიდნენ. შს მინისტრის მოადგილის, ვახტანგ გომელაურის განმარტებით: **„უბედური შემთხვევა მოხდა, დაღუპულია შსს-ს ერთი თანამშრომელი, მინდა, მის ოჯახს მივუსამძიმრო. წყლის ავზი გასკდა, რასაც კედლის ნგრევა და ე.წ. სინკარის ჩამოვარდნა მოჰყვა, რომელიც ჩვენ თანამშრომელს დაეცა. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს რაღაც თავდასხმა მოხდა სპეცდანიშნულების ბაზაზე, რაც სიმართლეს არ შეესაბამება“.**

„პირველი“

ვის მიენიჭება მარტოხელა მშობლის სტატუსი

რატომ იკამათეს იურიდიული კომიტეტის სხდომაზე ვახტანგ ხმალაძემ და ანი მიროტაძემ

რუსუდან შელია
557-100-768

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომას კომიტეტის წევრი დეპუტატების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. კომიტეტს შალვა შავგულიძის მიერ მომზადებული კანონპროექტიც უნდა განეხილა, რომლის მიხედვით, სამართალდამცავების მიერ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებში არსებული პერსონალური ინფორმაციის უკონტროლო და შეუზღუდავი წვდომის საკანონმდებლო დარეგულირება 2014 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის აპრილამდე გადავადდა. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების საკითხი კომიტეტისთვის უკვე გაწერილი დღის წესრიგის შემდეგ განიხილეს.

მანამდე კი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა ვახტანგ ხმალაძისა და ანი მიროტაძის კამათით დაიწყო. კომიტეტის თავმჯდომარე იმ დეპუტატებზე გაბრაზდა, რომლებიც მედიის წარმომადგენლებს დარბაზის კართან ესაუბრებოდნენ. ანი მიროტაძემ მედიის დაცვა სცადა, ჟურნალისტებსაც თავისი საქმე აქვთ, რა ქნანო. მედიამ პარლამენტის მუშაობა უნდა გააშუქოს და დეპუტატები სხდომაზე არ უნდა დააგვიანოსო, — იყო ვახტანგ ხმალაძის პასუხი. კამათი დაახლოებით ორი წუთი გაგრძელდა, ბოლოს ვახტანგ ხმალაძემ ანი მიროტაძისადმი აღშფოთებაც ვერ დამალა და კოლეგებს მიმართა — ორი წელია პარლამენტშია და თავი ჯერ კიდევ ჟურნალისტი ჰგონიაო. ამასობაში, დეპუტატებმა ჟურნალისტებს „თავი დააღწიეს“ და დარბაზში ქვორუმი შედგა.

სამოქალაქო კოდექსში შესატანი ცვლილებების ინიციატორი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძეა. აღნიშნული კანონპროექტი მარტოხელა დედისა და მარტოხელა მამის სტატუსის დადგენის ან სტატუსის გაუქმების განსაზღვრას გულისხმობს. შეიძლება ითქვას, რომ დეპუტატებმა ცვლილებები ხუმრობა-ხუმრობაში განიხილეს. ზაქარია ქუცნაშვილი „ინიციატივითაც“ კი გამოვიდა, მამაკაცები მარტოხელა დედების საკითხს განვიხილავთ, ქალებმა კი, მარტოხელა მამის სტატუსის განსაზღვრებაზე იმუშავეთო. ხუმრობის თემა გახდა შემდეგი საკითხიც — ქალს, რომელსაც ქორწინების გარეშე ჰყავს შვილი, მომდევნო შვილი კი, ოფიციალურ ქორწინებაში ეყოლება, უნდა ჰქონდეს თუ არა მარტოხელა დედის სტატუსი. ხუმრობის დასრულების შემდეგ, განიხილეს ცვლილებები, რომლის მიხედვით, კოდექსს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი: 1. **მარტოხელა მშობელი არის, მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი. 2. მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და დედა ბავშვის შვილად აყვანის მომენტში ქორწინებაში რეგისტრირებული არ არის.**

მარტოხელა მშობლის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ზუსტი ბაზა ექნება, რამდენ მარტოხელა მშობელს უნდა დაეხმაროს.

რაც შეეხება შალვა შავგულიძის ინიციატივას — არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა პარლამენტისგან ე.წ. საკანონმდებლო ცვლილებების ერთიან პაკეტში განხილვა და დამტკიცება, ასევე იმის გარკვევა მოითხოვეს, ექნება თუ არა შსს-ს პირდაპირი წვდომა პროცესთან. როგორც მხარეები შეთანხმდნენ, საკითხი 29 ოქტომბერს ქუთაისის პარლამენტში პლენარულ სხდომაზე განიხილება.

„როცა საქმე 60 000 მასწავლებელს ეხება, ბოლომდე პრინციპული დავრჩები!“

როდის და რამდენით გაიზრდება პედაგოგებისა და მეცნიერების ხელფასები, რა ბედი ელის დანგრეულ სკოლებს და რას პასუხობს თამარ სანიკიძე მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ბრალდებები მეცნიერთა ჯგუფისგან და ლაიტმოტივი, რომელიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თითქმის ორწლიან მუშაობას უწყვეტ რეჟიმში გასდევს — პრემიერ თქვენს გადაყენებას აპირებს?! ამ კითხვაზე პასუხს თამარ სანიკიძე არ ერიდება, მაგრამ იმ ერთ კითხვაზე, რაც მეცნიერებსა და მასწავლებლებს ყველაზე მეტად აინტერესებთ, კონკრეტული პასუხი ჯერ არ არის: ხელფასები გაიზრდება, თუმცა რამდენით, არ ვიცით. პედაგოგების სახელფასო ზრდის პროექტი შეთანხმების პროცესშია. სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო წრეებში არსებული პრობლემები, ექსმინისტრ დიმიტრი შაშკინისა და სხვათა ბრალდებები, გაჩერებული და თავიდან დაწყებული პროექტები — ეს ის საკითხებია, რაზეც განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე „ვერსიას“ ექსკლუზიურად ესაუბრება.

— ერთ-ერთი ბოლო ბრალდება ასეთია: მასწავლებელთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელის, დავით ფერაძის თქმით, თქვენი უწყების თანამშრომლები — ალექსანდრე ონოფრიშვილი, გიორგი ქოჩიშვილი და სხვები ნაციონალების სპეცდავალებებს ასრულებენ. ამ ხალხს თუ იცნობთ და საქმე მართლა ასეა?

— შემიძლია, აბსოლუტურად საპირისპიროში დაგარწმუნოთ. კვალიფიციური კადრების დეფიციტია და მაქსიმალურად ვეცადეთ, კადრები სწორედ მათი კვალიფიციურობის მიხედვით შეგვერჩია. ვერ ვხვდები, ამ განცხადებით რაზე მიუთითებენ. ისიც არ ვიცი, ამ ხალხს იცნობენ თუ არა. მსგავსი გამოძახილი მხოლოდ საქმეში ჩაუხედაობასა და პოპულისტური განცხადებების კეთების სურვილზე მიუთითებს. კანდიდატებს პარტიული ნიშნით არ ვარჩევ და ზოგადად, ვმუშაობ, რომ განათლების სისტემა არ იყოს პოლიტიზებული. მოვხსენით პოლიტიკური დატვირთვა მანდატურებს, აღარც სკოლები და მათი დირექტორები იღებენ ინსტრუქციებს. სხვათა შორის, ეს ინსტრუქციები რომ მოიხსნა, გარკვეული პერიოდი დაბნეულობა შეინიშნებოდა, მუშაობაც გაუჭირდათ. რთულად, მაგრამ სამუშაოს შესრულების მონიტორინგზე გადავედით. დღეს სკოლებიდან პოლიტიკურ აქტივობებს არავინ ითხოვს, დირექტორები პოლიტიკურ ზეწოლას არ განიცდიან! სათქმელად მარტივია, მაგრამ უზარმაზარი სისტემის დეპოლიტიზება და წნეხისგან გათავისუფლება არ აღმოჩნდა მარტივი. ამისთვის ხელისუფლების ნება და ხელშეწყობა იყო საჭირო.

— თუმცა სკოლის დირექტორები მასობრივად შეიცვალნენ. რატომ? 116-ე სკოლის ექსდირექტორი აცხადებს, რომ სამსახურიდან პოლიტიკური დირექტივების არშესრულების გამო გაუშვეს.

— დამისახელონ თუნდაც ერთი ასეთი დირექტივა! დირექტორების კონკურსი წელს ყველაზე გამჭვირვალედ ჩატარდა. კონკრეტული დირექტორი თუ საკუთარი შედეგებით უკმაყოფილოა, შეუძლია კომისიის დასკვნა გაასაჩივროს. დირექტორები შეაფასა კომისიებმა და არა მინისტრმა. შემფასებელ კომისიაში არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩავრთეთ, ასეთი რამ ვინმეს ახსოვს? გასაუბრების ვიდეოჩანაწერებიც არსებობს. დირექტორობის კანდიდატებს საშუალება აქვთ, უკმაყოფილების შემთხვევაში, საპირისპირო დაამტკიცონ. წინა წლებს თუ გადავხედავთ, ამ მხრივ დიდ განსხვავებას დავინახავთ. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, ვინმეს უტიფარი გამოძახილის გამო ჩრდილი მიადგეს წესიერი ადამიანების მუშაობას. ზოგი კანდიდატი შედეგებს ასაჩივრებს, ამას მივესალმები. სასამართლოს ჩვენც მოვთხოვეთ 116-ე სკოლის დირექტორთან გასაუბრების ვიდეოჩანაწერის გასაჯაროების უფლება. თუ ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ექსპერტების უფრო ფართო წრესთან შევძლებთ, განვიხილოთ გასაუბრების შედეგები. ან რა „ბუნტავშჩიკი“ მასწავლებლების მოხსნაზეა საუბარი, როცა უკანონოდ გათავისუფლებული მასწავლებლების სამსახურში აღსადგენად სპეციალური კომისია შევქმენით? ამ კომისიის შედეგებით დაინტერესდა ვინმე?! ან იმით — რამდენი მასწავლებელი თუ დირექტორი დავაბრუნეთ სისტემაში? როგორ სისტემურ დარღვევებს ჰქონდა ადგილი? როგორ ინიშნებოდნენ დირექტორები? რა ზეწოლა ხორციელდებოდა პედაგოგებზე? კომისია ანგარიშს ამზადებს და შედეგებს გავაცნობთ საზოგადოებას...

— ამ ორი წლის განმავლობაში რამდენიმე სკოლა დაინგრა. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული კი 61-ე სკოლის შემთხვევაა. გვაძლევთ გარანტიას, რომ ყველა დანგრეული სკოლის ადგილას ისევ სკოლა აშენდება?

— ყველა სკოლაზე, რომლის დემონტაჟიც მოვახდინეთ, არსებობს შესაბამისი დასკვნა — ისინი მძიმე ავარიულ მდგომარეობაში იყო. ამ სკოლებს დღეს ახალი, გამართული, თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა აქვთ. პრობლემები ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის. ჩემი აზრით, ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა სწორედ განადგურებული სასკოლო ინფრასტრუქტურაა. ჩამოშლილ-ჩამონგრეული სკოლები კი სწავლის პროცესში ყველაზე დამთრგუნველად მოქმედებს. სამაგიეროდ, 2012 წლის ზაფხულში, ალბათ წინასაარჩევნოდ, განახორციელეს ისეთი პროექტები, როგორიცაა გზისპირა სკოლების ფასადების შეღებვა, რისთვისაც დაიხარჯა რამდენიმე მილიონი ლარი. დღეს რაიონებში 100-მდე ავარიული სკოლაა, თბილისში კი ყველაზე ცუდ მდგომარეობაში 100-ე, 103-ე და 61-ე სკოლები იყო. სკოლების შეფასება გრძელდება და შესაბამისად, პრობლემური სკოლების რიცხვი მოიმატებს.

— მაშინ რატომ იფიქრეს მასწავლებლებმა, რომ, უბრალოდ, ამ სკოლებს შეუტიეთ?

— ალბათ, წარსულის შიში გამოჰყვათ, როცა სკოლები ინგრეოდა და მათ ადგილას სხვა რამ შენდებოდა ან სულაც იყიდებოდა. ეს დამოკიდებულება მაინც არასწორია. გარდა ამისა, ყველა კარგ წამოწყებას თითოოროლა მტერი მაინც გამოუჩნდება ხოლმე, ხან პიროვნული, ხანაც პოლიტიკური ინტერესიდან გამომდინარე. აშენდა და შენდება ახალი სკოლები, ინტენსიურად მიდის სარეაბილიტაციო და გათბობის მოწყობის სამუშაოები. ბოროტებაა საზოგადოებისთვის სიკეთისმომტანი საქმის შეფერხება პიროვნული ან პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე.

— ერთ-ერთ ასეთ „ბოროტებაზე“ გკითხავთ — ექსმინისტრ დიმიტრი შაშკინის მტკიცებით, სკოლების ლაბორატორიით აღჭურვის პროგრამა გააჩერეთ. მართალია?

— რომელი პროგრამა?! რაღაც ეტაპზე, მათ „აინშტაინის ლაბორატირიები“ შეიძინეს გარკვეული სკოლისთვის. პროექტი, როგორი უნდა იყოს სასკოლო ლაბორატორიები, მუშავდება „მილენიუმის“ კორპორაციასთან ერთად და როგორც კი ეს სამუშაოები დასრულდება, კარგ ლაბორატორიებს ვიყიდით.

— არც ელექტრონული ჟურნალების პროგრამა არსებობდა?

— **ეს პროგრამა** დაიწყო კიდეც, მაგრამ ტექნიკურად გაუმართავი იყო და ვეღარ გაგრძელდა. 2013 წელს, ახალი პროგრამა შევიმუშავეთ და 25 სკოლაში პილოტი გავუშვით. პროგრამამ ნორმალურად იმუშავა და ახლა მისი გაფართოება მიმდინარეობს.

— შაშკინის თქმით, დღეს ქვეყანაში სტატუსშეჩერებული 33 000 სტუდენტია. რა გეგმა გაქვთ ამ რიცხვის შესამცირებლად ან რა სტრატეგია არსებობს იმ სტუდენტთა დასახმარებლად, ვინც სწავლას უფულობის გამო ვერ აგრძელებს?

— საოცარია, თავისი გაფუჭებული საქმის გამო პასუხს დღევანდელ ხელისუფლებას სთხოვენ. ეს ყველაფერი სწორედ მათ მიერ დანერგილი სისტემის გამოა. სტუდენტების დაფინანსებაში ცვლილებები რომ არ განგვეხორციელებინა, დრამატულ შედეგს მივიღებდით! ყველა უნდა მიმხვდარიყო, რომ შაშკინისა და რატიანის განცხადებები მცდარია. დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა, სტიპენდიანტების რიცხვი და სოციალური გრანტების პროგრამები ორჯერ გაიზარდა. ასევე, დაფინანსდნენ დოქტორანტები და მაგისტრები. ამ ფონზე, როგორ შეიძლება, სტატუსშეჩერებული სტუდენტების რიცხვი გაორმაგებულიყო?! რას ვიზამთ, მოახერხეს და ეს პოზიტივიც ნეგატივად შემოატრიალეს. რიცხვი, 33 000-იც 2010 წლიდან დღემდე არსებული მონაცემია.

— ამ განცხადებების მიზანი რა არის?

— რა თქმა უნდა, სამინისტროს, ხელისუფლების დისკრედიტაცია და პოლიტიკური ქულების დაწერა. შაშკინის არგუმენტები აბსურდულია. სტუდენტებს შევხვდი, პირობა მივეცი, რომ ბაზას ისე მოვაწესრიგებთ, ვერავინ შეძლოს შეცდომაში მათი შეყვანა. ბაზა დაიხვეწება და ადამიანებს, რომლებიც მიზნის მისაღწევად ახალგაზრდებსაც არ ზოგავენ, ამ რიცხვებით მანიპულირების საშუალებას არ მივცემთ. 2013 წელს 10 600-მა სტუდენტმა აღიდგინა სტატუსი. 2014 წელს კი უკვე სტატუსაღდგენილი 9 000-მდე სტუდენტი გვყავს.

დასასრული მე-5 გვერდზე

თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირები 4 მილიონამდე ლარის გაფლანგვის ბრალდებით დააკავეს

როგორც მთავარ პროკურატურაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადეს, საქმე ეხება სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვის ფაქტს: „თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, მთავარმა პროკურატურამ დააკავა: თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი გიზო ღლონტი; ამავე დეპარტამენტის — სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი გიორგი ლობჟანიძე; მთავარი სპეციალისტი არჩილ ალავიძე; შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი ნუგზარ კაიშაური; ამავე დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი დავით წიფურია. გამოძიებით დგინდება: 2013 წელს, ამ მაღალჩინოსნებისთვის ცნობილი გახდა, რომ სს „სილქნეტი“, კერძო სამეწარმეო მიზნებისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე, გარკვეული მიმართულებით გეგმავდა ოპტიკურბოჭკოვანი მაგისტრალის გაყვანას. მათ განიზრახეს „სილქნეტის“ სასარგებლოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გაფლანგვა. დანაშაულის შესანიღბად, მათ ვითომ ბაზრის საკვლევად და შესაძენი ქონებისა და მომსახურების მისაღებად საჭირო ყველაზე დაბალი ფასის განსაზღვრად, გამოაცხადეს საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვა ოპტიკურბოჭკოვანი მაგისტრალის გაყვანისა და ქსელური აპარატურის შეძენაზე, სადაც მონაწილეობის მისაღებად 2013 წლის 27 აგვისტოს, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტმა, მოწვევა, „სილქნეტთან“ ერთად გაუგზავნა საქართველოში მოქმედ 9 კომპანიას. წინადადებების წარმოსადგენად მათ ვადა მიეცათ 5 სექტემბრამდე. სამუშაოს შესასრულებლად სამინისტრომ მოითხოვა არარეალურად მოკლე ვადა, ამიტომ 4-მა კომპანიამ შეძლო მხოლოდ ზოგადი ხარჯთაღრიცხვის წარდგენა.

საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის მიმდინარეობისას, თავდაცვის სამინისტროს ხსენებულმა თანამდებობის პირებმა მიიღეს ყველა ზომა, „სილქნეტს“, უპირატესობის მინიჭებითა და პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებით, გაემარჯვა გამოცხადებულ საიდუმლო შესყიდვაში.

2013 წლის 26 დეკემბერს სამინისტრომ „სილქნეტთან“ გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, ოპტიკურბოჭკოვანი კაბელის შესყიდვის, ქსელური აპარატურის, შეძენა-მონტაჟისა და მომსახურების პირობით. სამინისტრომ „სილქნეტს“ უნდა გადაუხადოს 6 720 877.42 ლარი, საიდანაც ავანსად უკვე გადარიცხულია 6 480 877.42 ლარი. სანაცვლოდ, სამინისტრომ „სილქნეტისგან“ 2015 წლის 16 იანვარს უნდა მიიღოს ქონება და მომსახურება, რომლის რეალური საბაზრო ღირებულება ექსპერტიზის დასკვნით, მხოლოდ 2 618 004.82 ლარია. თავდაცვის სამინისტროს თავდაპირველი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვა გამოცხადებული ჰქონდა ოპტიკურბოჭკოვანი მაგისტრალის შესყიდვაზე. შემდგომში კი, ამ შესყიდვაში გამარჯვებულ კომპანია „სილქნეტთან“ ხელშეკრულებას აფორმებს მხოლოდ ამ მაგისტრალში არსებული კაბელის განსაზღვრული რაოდენობის წვერების შეძენაზე, რაც არსობრივად ცვლის საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის რეალურ ობიექტს. ამ ქმედებით, აღნიშნულმა პირებმა, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, „სილქნეტის“ სასარგებლოდ გაფლანგეს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872.6 ლარი. გამოძიება ასევე მუშაობს ამ დანაშაულში მონაწილე სხვა თანამდებობის პირების გამოსავლენად. გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით“.

უწყების მაღალჩინოსნების დაკავებასთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტმა განცხადება გაავრცელა. ალასანიას უწყებაში აცხადებენ, რომ სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი შესყიდვებს ახორციელებს კანონმდებლობის სრული დაცვით. გასული წლებისგან განსხვავებით ფარული შესყიდვების პროცენტული მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა. ოპტიკურ ბოჭკოვანი მაგისტრალის შესყიდვის დროსაც, სახელმწიფო საიდუმლო დაშვების მქონე ყველა კომპანიას დაეგზავნა განაცხადი, რათა წარმოედგინათ საკუთარი შემოთავაზება. თავდაცვის სამინისტრო გამოდის ინიციატივით, ამ შესყიდვას მოეხსნას გრიფი, რადგან უწყება, საფუძვლიანი გამოძიების ჩატარებითაა დაინტერესებული.

„სილქნეტის“ ინფორმაციით კი, ტენდერის ყველა ეტაპზე, კომპანიის წარმომადგენელთა ქმედებები იყო შესაბამისობაში სამართლებრივ და ტენდერის პირობებით განსაზღვრულ ნორმებთან. კომპანია მზადაა, გამოძიებას მიაწოდოს ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია.

„ვერსიანიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

28 ოქტომბერი ქართული ტელევიზიებისთვის „დიდი დახურვების“ დღე აღმოჩნდა. ცნობილი გახდა, რომ აჭარის ტელევიზიის თბილისის ბიურო მუშაობას 1 ნოემბრიდან შეწყვეტს. ამის შესახებ ბრძანებას ხელი 27 ოქტომბერს მოეწერა, ოფიციალური მიზეზი კი ადამიანური რესურსის შემცირება და ხარჯების ეკონომიაა. არადა, აჭარის ტელევიზიის თბილისის ბიურო 10 წელზე მეტი ხნისაა და მსგავსი პრობლემების შესახებ აქამდე მინიშნებაც კი არ ყოფილა. აი „მაესტრო“ კი, რომლისთვისაც ფინანსურ პრობლემებზე საუბარი და სასამართლო დავები ლამის ყოველდღიური მოვლენაა, ჟურნალისტების, ე.წ. ფეისების მთელმა გუნდმა დატოვა. გავრცელებული ინფორმაციით, არხიდან დიანა ტრაპაიძე, თეონა გეგელია და რამდენიმე ოპერატორი წავიდნენ. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს არხი „ცხრიანის“ წამყვანმა ნინო ჟიჟილაშვილმაც დატოვა, თუმცა გადაცემა მისი წამყვანობით, ეთერში ჩვეულ დროს გავიდა.

ახალი სკანდალი „მაესტროზე“

უკავშირდება თუ არა არხზე შექმნილი ფინანსური კრიზისი ეროსი კიწმარიშვილის საქმის გამოძიებას

„ჟურნალისტებს დაცვა არა მხოლოდ პოლიტიკოსებისგან, არამედ უნიჭო, უცოდინარი და არაკომპეტენტური მმართველებისგანაც სჭირდებათ“, — მომხდარს თეონა გეგელია სოციალურ ქსელში ასე გამოეხმაურა. კონკრეტულ მიზეზებზე არც დიანა ტრაპაიძეს უსაუბრია, თუმცა გადაცემა „სუბიექტური აზრის“ პროდიუსერის, ირაკლი აბსანძის ინფორმაციით, ტრაპაიძემ გადაწყვეტილება ტელეკომპანიის ერთ-ერთი მფლობელის, მაკა ასათიანის მეუღლესთან შეხვედრის შემდეგ მიიღო. მის გარეშე კი „სუბიექტური აზრი“ ეთერში ძველი ფორმატით, ცხადია, ვეღარ გავა. რამდენიმე კვირით ადრე „მაესტროდან“ „ცხრიანის“ კიდევ ერთი წამყვანი, ვახო სანაია წავიდა, ამ გადაწყვეტილების დეტალები კი დღემდე უცნობია, კულუარულ ჭორებს თუ არ ჩავთვლით. „მაესტროზე“ მიმდინარე მოვლენების გარშემო წვრილ-წვრილი ჭორების რამდენიმე ვერსია გავრცელდა.

ვერსია №1 — ფინანსური კრიზისი. როგორც ირკვევა, თურმე „მაესტროელებს“ სექტემბრის ხელფასი დღემდე არ აუღიათ, არხმა კი იმდენი შიდაომი გადაიტანა, მსგავსი ჩავარდნა წარმოუდგენელი სულაც არაა. როგორც გავარკვიეთ, „მაესტრო“, ასე ვთქვათ, ორ სხვადასხვა შენობაში ფუნქციონირებს — აქედან ერთი „ბიზნესკონტაქტის“ სტაფსა და აპოლიტიკურ ნაწილს აქვს დაკავებული. მათ კი არც ფინანსური პრობლემები შეხებია და არც პოლიტიკური ზეწოლის მსხვერპლად მიიჩნევენ თავს. შესაბამისად, იკვეთება კიდევ ერთი ახსნა, რატომ ტოვებს არხს წამყვან ჟურნალისტთა „პოლიტელიტა“.

ვერსია №2 — დამფუძნებლების პოლიტიკური და ბიზნეს-ინტერესები. ვინ არიან „მაესტროს“ დამფუძნებლები, ამის შესახებ მრავალწლიანი კვლევა-ძიების შედეგად, როგორც იქნა ზოგად მონახაზზე შევთანხმდით. არხზე „ნულისტოლი“, მინიმალური წილები რამდენიმე ჟურნალისტსაც ჰქონდა, თუმცა იქ მუსიკას მაკა ასათიანის ბიზნესმენი ქმარი, კოტე გოგელია უკვეთავდა, „უცნობთან“ ერთად, რომელსაც ასევე 25%-იანი წილი აქვს და თავადაც უჭირს ჩამოყალიბება, ეს წილი საბოლოოდ მიჰყიდა თუ არა გოგელიას. არხის მენეჯმენტს სრულადაა ჩამოშორებული მამუკა ღლონტი, რომელიც ახლა შეკვეთილში ცხოვრობს და მყუდროებას არც არხზე მიმდინარე მოვლენების კომენტირებით ირღვევს. შესაბამისად, გადამწყვეტი კოტე გოგელიას როგორც ბიზნეს, ისე პოლიტინტერესები გამოდის. რატომ არ შეუძლია არხის მფლობელს ჟურნალისტებს თითი უქნიოს და ყოველგვარი იმპროვიზაცია აუკრძალოს პირდაპირ ეთერში?! რატომ ვერ შექმნის ხელოვნურ კრიზისს გოგელია და თუნდაც ხელფასების გადაუხდელობით, ჟურნალისტებს წასვლას აიძულებს?

ვერსია №3 — GDS-ის გაძლიერება. ფინანსური კრიზისიდან გამოსავალი მაღალანაზღაურებადი სამსახურის პოვნაა. „მაესტროდან“ ჟურნალისტების წასვლის ერთ-ერთ ვერსიად მათი GDS-ზე გადაბარგება დასახელდა. რა თქმა უნდა, ამაზე ღიად არავინ საუბრობს და ალბათ, ახალი არხის ამოქოქვამდე არც ისაუბრებს, მაგრამ რატომაც არა — თუკი ბიძინა ივანიშვილი „მაესტროს“ ეთერს ასე ხშირად სტუმრობდა და ამ ჟურნალისტებთან, ასე თუ ისე, ნორმალურად თანამშრომლობდა, იქნებ, თავისი ახალი ჰობი, ტელეწამყვანობა სწორედ „მაესტროს“ ყოფილ სახეებთან ერთად წარმოუდგენია. გააძლიერებს თუ არა თავის არხს,ან კონკრეტულად თავის გადაცემას „მაესტროელებით“, ამას მალე ვნახავთ, მანამდე კი ამ ვერსიას ნამდვილად აქვს არსებობის უფლება.

ვერსია №4 — ეროსი კიწმარიშვილი. კიწმარიშვილის სახელის ხსენება თავში აზრად არავის მოსვლია. უფრო სწორად, შეიძლება, მოუვიდა კიდეც, მაგრამ ამ თემის გახმაურება და „მაესტროსთან“ დაკავშირება დღეს არავის ინტერესში აღარ შედის. არადა, ფაქტები ხელისგულზე დევს: დღეს „მაესტრო“ ფინანსურ კრიზისზე საუბრობს, ეროსი კიწმარიშვილის წინააღმდეგ კი სასამართლო პროცესს აწარმოებდნენ და მას 4,5 მილიონ ლარს ედავებოდნენ. თავის მხრივ, ორჯერ 4,5 მილიონზე დავობდა თავად კიწმარიშვილი, რომელიც დღეს რომ ცოცხალი იყოს, ალბათ, პროცესი ძალიან საინტერესოდ წარიმართებოდა. „ვერსიამ“ არაერთხელ დაწერა ექსკლუზიური ინფორმაცია გოგელია-კიწმარიშვილის უთანხმოებისა და ძველბიჭურ „კაჩაობამდე“ მისული დავების შესახებ. კიწმარიშვილი მკვდარია და შესაბამისად, „მაესტროს“ მოპასუხე მხარე აღარ ჰყავს, რომ მოგების შემთხვევაში, მილიონები გადაუხადოს. მაგრამ იქნებ უზენაეს სასამართლოს კიწმარიშვილის სარჩელის განხილვაში მიღება სურდა და „მაესტროს“ „გადამგდებ“ მფლობელებს მილიონებს აქეთ აკისრებდა კიწმარიშვილის სასარგებლოდ? კიწმარიშვილ-გოგელიას შორისაც ხომ ამ თემაზე მიდიოდა მუდმივი დავა. არ ხმაურდება და არც პროკურატურა გვიმხელს, ერთ-ერთ მოწმედ კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეზე დაკითხა თუ არა მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი, კოტე გოგელია, რომელიც გარდაცვლილს რამდენჯერმე მოწმეების თანდასწრებით დაემუქრა? იქნებ, სწორედაც რომ დაკითხა და ამიტომაა ახლა გოგელია თბილისში და ამიტომ სცემს ჟურნალისტების კითხვებს უტიფარ პასუხს — ხომ არ გაგიჟდი, გოგონა?! მოკლედ, კითხვა, რომელიც „მაესტროში“ მომხდარი ნებისმიერი სერიოზული ცვლილების დროს, ალბათ, კიდევ კარგა ხანს უნდა დაისვას, ასეთია — რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს ეროსი კიწმარიშვილთან და ახლა უკვე მისი მკვლელობისა თუ თვითმკვლელობის გამოძიებასთან?

ეს ჩვენი ვერსიებია, რაც კულუარებში თუ საჯაროდ ვრცელდება, პროცესის შეფასებისთვის კი რამდენიმე ადამიანს მივმართეთ.

ია ანთაძე, მედიაექსპერტი: — როცა ვახო სანაია „მაესტროდან“ წავიდა, ეს უკვე ნიშნავდა, რომ ამ ტელეკომპანიაში რაღაც წესრიგში არ იყო. რატომ მოუხდა ვახოს ტელევიზიის დატოვება, დღემდე გაურკვეველია და ამაზე არც ვახო საუბრობს. ჩემთვის, როგორც მაყურებლისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სანაიას ნამუშევარი ისეთი ხარისხიანი არსად ყოფილა, როგორც „მაესტროზე“. როცა არხმა ასეთი ადამიანი გაუშვა, ე.ი. ამისთვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი უნდა ჰქონოდა. ფაქტია, ამ ამბავსაც კარგი არაფერი მოჰყოლია. პრაქტიკულად, ამ ტელეკომპანიაში ისეთი ძვრებია, რაც მისი დასუსტებისკენაა მიმართული და არა გაძლიერებისკენ. ახლა მაინც ვიკითხოთ, ვახო სანაიას გათავისუფლების მიზეზი რა იყო, რადგან ცნობილია, რომ არსად წასულა და ჯერჯერობით, სახლში ზის. ამით დავიწყოთ „მაესტროს“ ამბის გარკვევა.

— როგორც მაყურებელმა კი არა, როგორც ჟურნალისტმა, მედიექსპერტმა, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წარმომადგენელმა, ისე შეაფასეთ, ვის აძლევს ხელს „მაესტროს“ დასუსტება და რა რეაგირება ექნება ჟურნალისტთა ქარტიას?

— მე არც ქარტიის საბჭოს წევრი ვარ, არც მისი სახე, ქარტიას თავის საბჭო ჰყავს და თუ ჩათვლიან, რომ რაიმე განცხადება უნდა გააკეთოს, შეიკრიბებიან. მხოლოდ „მაესტროს“ მაყურებელი ვარ და გული დამწყდება, თუ ამ ტელევიზიის საინფორმაციო და პოლიტიკური გადაცემების ყურების საშუალება აღარ მექნება. რატომ დგამს ტელევიზია მისთვის წამგებიან ნაბიჯებს, არ ვიცი. სანაიას წასვლისთანავე მივხვდი, „მაესტროზე“ ყველაფერი ამით არ დასრულდებოდა.

— ეს ის საკითხი არაა, რაზეც ქარტიის საბჭო უნდა შეიკრიბოს?

— ვერ გეტყვით. სანამ ქარტიის საბჭო შეიკრიბება და რამეს გადაწყვეტს, უნდა გავიგოთ, რა მოხდა. ისე არ მოხდება, რომ საბჭომ განცხადებები დაუდასტურებელ ამბებზე გააკეთოს.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პუბლიცისტი და ყოფილი „მეცხრეარხელი“ **ვასილ მაღლაფერიძე** კი აცხადებს, რომ ერთი თვის წინ, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე, შეკვეთილში, ტელევიზიებზე მხოლოდ ზოგადად ისაუბრებს და „მაესტროს“ თემატიკა ნახსენებიც არ ყოფილა: **„ვფიქრობ, ჟურნალისტები მარტო უნიჭო მენეჯმენტის კი არა, ყველას წინაშე დაუცველნი არიან. ფაქტობრივად, ჟურნალისტები დღეს მფლობელების ინტერესების მსხვერპლნი ხდებიან და მათ არც პროფესიული გაერთიანებები იცავს, არც კონტრაქტი. რაც შეეხება ივანიშვილთან შეხვედრას, ეს იდუმალებით მოცული საუბარი კი არ ყოფილა, მას 30-მდე ადამიანი ესწრებოდა და მათგან უმეტესობას არც ვიცნობ. ტელევიზიებსა და მით უმეტეს, მათი დახურვის თემებზე არავის უსაუბრია. ეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გახლდათ, სადაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მიმოვიხილეთ. თავში აზრად ყველაზე მცხუნვარე ფანტაზიის პატრონსაც არ უნდა მოუვიდეს, რომ „მაესტროდან“ ჟურნალისტების წასვლა ვინმემ დაგეგმა. ჩვენ აქ მფლობელების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები უნდა ვეძებოთ. მათ GDS-ზე გადასვლას რაც შეეხება, ღმერთმა გაუმარჯოს, აბა, უმუშევრები ხომ არ დარჩებიან, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. მაინც მგონია, რომ ეს ყველაფერი ფინანსურ პრობლემებთანაა დაკავშირებული და თუ „მაესტროელებს“ ხელფასს არ უხდიან, ძაღლის თავიცა და ტანიც აქ ყოფილა დამარხული“.**

ვერსიანიუსი

პანკისში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

ცენტრის გახსნის ცერემონიას, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიან დაესწრნენ. ცენტრი აღჭურვილი იქნება თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით. განთავსდება სერვისების განვითარების და საჯარო რეესტრის სააგენტო. ეროვნული არქივი და სოციალური მომსახურების სერვისები (ჯამში 200-ზე მეტი სერვისი). პროექტი ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობით განხორციელდა. ცენტრის გახსნის ერთ-ერთი ინიციატორი თეა წულუკიანი იყო. **„მე გახლდით აქ 2013 წლის ივნისში. აქაურ მცხოვრებლებს დავპირდი, რომ აქ ეს ცენტრი აშენდებოდა და ისინი წვალებისა და ხარჯების გაწევის გარეშე, თავიანთ სახლებთან ახლოს, მიიღებდნენ სახელმწიფო, საჯარო სერვისებს. დღეიდან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პანკისელებს მივეცით პატარა შვება — სახელმწიფო სერვისები იქნება მათ სახლთან ახლოს. წლის ბოლომდე კიდევ 4 ასეთ ცენტრს გავხსნით და მომდევნო თვეში ცენტრი გაიხსნება სოფელ მუხაესტატეში“,** — განაცხადა წულუკიანმა.

ირაკლი ღარიბაშვილი კი, ცენტრის შენობაში პანკისის ხეობის უხუცესებსა და ლაფანყურის სპეცოპერაციისას დაღუპულთა ოჯახის წევრებს შეხვდა. პრემიერთან საუბრის შემდეგ, უხუცესთა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, სოსო ქავთარაშვილმა განმარტა, რომ მხოლოდ პანკისის ხეობაში განსახორციელებელი პროექტების შესახებ ისაუბრეს. საქმე ალაზნის სისტემისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას ეხება. ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაღუპული ბაჰაუდინ ქავთარაშვილის მამამ, ასმუდინ ჟაკალაევმა კი განაცხადა, პრემიერისგან ინფორმაცია მხოლოდ იმის შესახებ მივიღე, რომ სპეცოპერაციასთან დაკავშირებული გამოძიება გრძელდებაო. მისივე თქმით, შეხვედრა დროში შეზღუდული იყო და გარკვეულ დეტალებზე არ უსაუბრიათ.

საქართველოს მასშტაბით სულ 12 საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს და დამატებით, წლის ბოლომდე 4 ცენტრი გაიხსნება.

„ვერსიანიუსი“

როგორ შეაფასა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს მთავრობის მუშაობის ორი წელი

გიორგი იაშვილი

2 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილმა კოალიციამ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებით აიღო პასუხისმგებლობა ქვეყნის განვითარებაზე. 2 წელი საკმარისი დროა საიმისოდ, რომ მოხდეს კოალიციის მუშაობის შეფასება საზოგადოების მხრიდან.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ მოსახლეობისთვის წარდგენილი ანგარიშის მოკლე მიმოხილვითაც კი აშკარად ჩანს, რომ მთავრობა განაგრძობს საბიუჯეტო შემოსავლების ძირითადი ნაწილის გადამისამართებას სოციალურ თემებზე — მიმართულებაზე, რომელიც ყველაზე მეტ ყურადღებას ითხოვს, რადგან ეხება მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას.

კვლავ გრძელდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა — ბიძინა ივანიშვილის მიერ დაწყებული პროექტი, რომლითაც გადაიდგა უპრეცედენტო ნაბიჯი — ქვეყნის მთელი მოსახლეობა დაზღვეულია. ადამიანებს, რომლებსაც მანამდე არ ჰქონდათ აუცილებელი ოპერაციების გაკეთების სახსრები, დღეს ეს პრობლემა მოხსნილი აქვთ. პროგრამამ სიცოცხლე შეუნარჩუნა ათასობით ადამიანს, ხოლო პროგრამით უკვე ისარგებლა 2.7-მა მილიონმა ადამიანმა, რაც მთლიანად მოსახლეობის დაახლოებით 80%-ია. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დამსახურებით პირველად ბოლო 20 წლის განმავლობაში, შემცირდა სიკვდილიანობა და გაიზარდა პენსიონერთა რიცხვი. პენსიონერების მატების მიზეზი მარტივია, ასაკიანი ადამიანები იღებენ სამედიცინო დახმარებას და მომსახურებას რითაც მათ უხანგრძლივდებათ სიცოცხლე.

ღარიბაშვილის ანგარიშში ნახსენები იყო მოსახლეობის გამრავლების წასახალისებელი პროგრამაც, რომელიც რამდენიმე თვის წინ ამუშავდა არასახარბიელო დემოგრაფიული ვითარების მქონე მთიანი რეგიონებისთვის. ამ რეგიონებში მცხოვრებ ოჯახებში დაბადებულ ყოველ მესამე შვილზე სახელმწიფო ოჯახზე გამოყოფს 150-200-ლარიან ყოველთვიურ დახმარებას 2 წლის განმავლობაში.

კვლავ სახელმწიფო პრიორიტეტად რჩება ქვეყნის რეგიონების განვითარება და რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვაზე, განათლებასა და დასაქმებაზე ზრუნვა.

წელს სხვადასხვა რეგიონში უკვე აშენებულია 82 ამბულატორია, 30%-ით გაიზარდა რეგიონების სამედიცინო პერსონალის ხელფასი. 1065 სკოლის 53 ათას მოსწავლეს ემსახურება უფასო ავტობუსები, აშენდა 9 ახალი სკოლა, 8 შენების პროცესშია, 1000 სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია (ამასთანავე კვლავ გრძელდება ქვეყნის ყველა მოსწავლისთვის უფასო სახელმძღვანელოების დარიგება, რაც უპრეცედენტო პროექტია პოსტსაბჭოთა სივრცეში), უმაღლეს განათლებაში 21 საბალაკრავო პროგრამა უფასოა, გარდა ამისა სახელმწიფო მთლიანად აფინანსებს საჯარო კოლეჯების 12 000 სტუდენტს.

კვლავ გრძელდება სოფლის დახმარების პროექტები, გლეხები იღებენ დახმარებას, შეღავათებსა და კრედიტებს, სახელმწიფო ეხმარება მათ მიწის დამუშავებასა და ახალი აგრარული საწარმოების გახსნაში. 2 წლის განმავლობაში დაიხნა 420 ათასი ჰექტარი მიწა, დახმარება მიიღო 800 ათასმა გლეხმა, მათ უსასყიდლოდ მიეწოდათ 9 მლნ ლარის ღირებულების სათესლე მასალა, 107 მლნ ლარის სასუქი, 48 მლნ ლარის ღირებულების შხამქიმიკატები, 54 მლნ ლარის ღირებულების ინვენტარი. 2 წელიწადში გაიცა 21.400 აგროკრედიტი, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ ნახევარ მილიარდ ლარს (492000000) მიაღწია. მოხდა 3000 კმ სარწყავი არხების რეაბილიტაცია, შეკეთდა 1500 ჰიდროტექნიკური ნაგებობა, გაიხსნა 90 ახალი საწარმო და ეს პროცესი კვლავ გრძელდება.

მთავრობის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კიდევ ერთ, ასევე გაჭირვებულ მოსახლეობაზე ორიენტირებულ ინიციატივას — ახალშექმნილ სოლიდარობის ფონდს, რომელმაც შექმნიდან 2 თვეში უკვე გაუწია დახმარება ონკოლოგიური დაავადებების მქონე 25 ბავშვს.

ღარიბაშვილის ანგარიშში მოსახლეობისთვის წარდგენილი იყო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებიც. 2012-2014 წლებში საქართველოდან ექსპორტი გაიზარდა 24 პროცენტით, მათ შორის, 2012 წელთან შედარებით, ექსპორტი ევროკავშირთან 70 პროცენტით, ხოლო რუსეთთან — 534 პროცენტით. რუსეთთან გონივრული და გააზრებული, იმავდროულად, პრინციპული პოლიტიკის წარმოების შედეგად, საგრძნობლად გაიზარდა ქართული პროდუქციის გატანა არა მარტო ევროპულ, არამედ უკვე რუსულ ბაზარზეც, შესაბამისად 2 წლის განმავლობაში, ბოსტნეულის ექსპორტი გაიზარდა 53%-ით, ხილი — 91%, მინერალური წყლები — 159%-ით, ღვინო — 221%-ით; ხოლო ციტრუსი — 1040%. ამავე პერიოდში დარეგისტრირდა და ამუშავდა 46 ათასი ბიზნესპროექტი.

2 წლის განმავლობაში 3 მილიონ ლარზე მეტი ბრუნვის მქონე გადამხდელების, ანუ მსხვილი გადამხდელების რაოდენობა 418-ით, ხოლო მათი ერთობლივი შემოსავალი — 4.5 მილიარდით ლარით გაიზარდა.

და კიდევ ერთი უდიდესი ნაბიჯი, რომელიც იქნა გადადგმული — ხელისუფლებამ ჩაატარა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ხალხმა აირჩია 12 მერი და 59 გამგებელი. მთავრობა უნაწილებს ხელისუფლებას ხალს და აძლევს მათ საშუალებას, თავად დაგეგმონ ბიუჯეტები ადგილებზე, თავად წარმოაჩინონ ის პრიორიტეტეტბი, რომლებიც ყოველ კონკრეტულ რეგიონს გააჩნია. ასეთი მიდგომის შედეგად, მთელი მოსახლეობა იქნება ჩართული ქვეყნის დოვლათის განაწილებაზე და ქართული სახელმწიფოს განვითარებაზეც.

მინისტრის ტრიბუნა

მე-3 გვერდიდან

„როცა საქმე 60 000 მასწავლებელს ეხება, ბოლომდე პრინციპული დავრჩები!“

— ისე არ გამოვიდეს, დირექტორები, სტუდენტები, მასწავლებლები და ყველა, ვინც ოპონირების რეჟიმშია, „მოგზავნილებად“ მოვნათლოთ.

— როგორ გეკადრებათ, ხელი არასოდეს არავისკენ გაგვიშვერია და არც მომავალში ვაპირებთ. ბოლომდე ვაცნობიერებთ პასუხისმგებლობას და სერიოზული არგუმენტების გარეშე არავის დავადანაშაულებთ. ამ პოზიტივის ასე შემოტრიალებას კი სხვა ახსნა, უბრალოდ, ვერ ექნება. სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა იკლებს და ამ ტენდენციის შესანარჩუნებლად კიდევ რამდენიმე მექანიზმია ამოქმედებული. შედეგების გაუმჯობესებას ველით, უბრალოდ, გარკვეული დროა საჭირო.

— შაშკინისდროინდელ სამინისტროში ბევრი დარღვევაა. მაგალითად, თუნდაც გარეფასადების შეღებვის რამდენიმე მილიონიანი პროექტები. მის წინააღმდეგ საქმის აღძვრას ხომ არ გეგმავთ?

— კარგია, ეს კითხვა რომ დამისვით. ყველამ იცის, ვის რა ბრალი მიუძღვის. ისიც ვიცი, რა როგორ იყო, მაგრამ მუდმივად ამაზე საუბარს საქმის კეთება მირჩევნია. პროკურატურაში უკვე დევს რამდენიმე საქმე — გრიფირების გაყალბება, კანონდარღვევებით გათავისუფლებული მასწავლებლები და დირექტორები. ამ ადამიანებს შანსი მივეცით, სასამართლოს მიმართონ. სამართლებრივი პროცესის წარმართვა ჩვენი დასკვნების საფუძველზეა შესაძლებელი. დასკვნები კი, საკმაოდ მძიმეა და არ გამოვრიცხავ, შაშკინის მისამართით კითხვები დაისვას.

— მიუხედავად ამისა, განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, ივანე კიღურაძე, მეცნიერების პრობლემაზე საუბრისას, აცხადებს, რომ შაშკინის კურსს აგრძელებთ...

— ასე თავად დიმიტრი შაშკინი არ ფიქრობს. ამბობს, რომ, რაც ააშენა, დავანგრიეთ და გავაფუჭეთ. ბატონი ვანო მეცნიერთა საზოგადოების წარმომადგენელია და ეს საკითხი განსაკუთრებით აწუხებს. შესაძლოა, ყველაფერს ამ კონკრეტული გადმოსახედიდან აფასებდა. ვითარებას ისიც ართულებს, რომ ყველას ყველაფერი ეჩქარება. არ ვეთანხმები მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებებს. ჩანს, მეცნიერებაში ყველაზე აქტუალური დღეს სოციალური თემატიკაა, არადა, სოციალური თემა და მეცნიერების განვითარება პარალელურად უნდა განვიხილოთ.

— რომელი უფრო პრიორიტეტულია თქვენთვის, როგორც მინისტრისთვის — თემურ ნანეიშვილის თქმისა არ იყოს, ინფრასტრუქტურას კი მოვაწესრიგებთ, მაგრამ გარემონტებულ შენობებში მსოფლიოში ცნობილი, მშიერი მეცნიერები გვეყოლება 150-ლარიანი ანაზღაურებით?

— ვფიქრობ, ეს გამონათქვამი ძალიან რადიკალური და ცალმხრივია. მეცნიერების მდგომარეობის შესწავლა გადაუდებელი და აუცილებელი იყო. პროცესი გარკვეულწილად დასრულდა. დასახვეწია სამოქმედო გეგმები და ამაზე ვმუშაობთ. სამუშაოები ცალკეულ კვლევით დაწესებულებებთან გაგრძელდება. პარალელურად, ვამუშავებთ ისეთ საკითხებს, როგორიცაა საკანონმდებლო დონეზე მეცნიერის სტატუსის განსაზღვრა, რომ მეცნიერებს ჰქონდეთ შესაძლებლობა სრულფასოვნად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, შეძლონ დოქტორანტების გაზრდა... განხორციელდა მეცნიერების ხელშემწყობი პროგრამებიც. უნივერსიტეტებსა და კვლევითი დაწესებულებებისთვის შევისყიდეთ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები, რუსთაველის ფონდის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დაფინანსება. 2013 წელს, პირველად მოხდა, რუსთაველის ფონდის ბიუჯეტის ბოლომდე ათვისება. ახალგაზრდა მეცნიერების ხელშეწყობაც დავიწყეთ. დავაფინანსეთ დოქტორანტები. შევიმუშავეთ მეცნიერების განვითარების ერთიანი ხედვა. საბიუჯეტო სახსრები შესაბამისად უნდა მიიმართოს განვითარებაზე, რომელიც თავისთავად გულისხმობს მეცნიერის სტატუსის, ანაზღაურებისა და ადეკვატური სამუშაო პირობების შექმნას. გასათვალისწინებელია საერთაშორისო კვლევით სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა. ამ კუთხით გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო და უდაოდ სასარგებლო სამეცნიერო მიმართულებები. მათ შორის — გერმანიის იულიხის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელთანაც ჩვენს უნივერსიტეტებს გააჩნიათ მრავალწლიანი ურთიერთობა. იულიხის ცენტრთან იწყება თვისობრივად ახალი ურთიერთობა. იქ სწავლას და კვლევაში ჩართვას ქართული უნივერსიტეტებიდან დოქტორანტები შეძლებენ. ქართველი სტუდენტები შესაბამისად მიიღებენ საერთაშორისო კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. მნიშვნელოვანია ცერნთან ურთიერთობაც, რომელიც სერიოზულ ფაზაშია, ასოცირებულ წევრობაზე ვმუშაობთ. საერთაშორისო პარტნიორებთან საურთიერთოდ საჭიროა ადამიანური რესურსი და კვლევითი ბაზები, ამიტომ ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური ნაწილის უგულებელყოფა ვერ მოხდება.

— რატომ ვერ იმუშავა მეცნიერთა საბჭომ, რომელიც სწორედ ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად შეიქმნა?

— საბჭო დებულების შესაბამისად განიხილავდა და აფასებდა კვლევითი დაწესებულებების გრძელვადიან სამოქმედო გეგმებს, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება. შეფასების პროცესში ჩართულები იყვნენ საზღვარგარეთ მოღვაწე მაღალრეიტინგიანი ქართველი მეცნიერები. ამოცანა გარკვეულწილად შესრულდა, თუმცა სამომავლო გეგმები დასახვეწია, რასაც ფინანსურ მხარეზეც ექნება გავლენა. კვლევითი პროექტების დაფინანსება ბევრად მეტ ფინანსურ რესურსს მოითხოვდა, ვიდრე 2014 წლის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული. ასევე, გარკვეული რესურსებია საჭირო კვლევითი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე. თუ თანხებს მხოლოდ სახელფასო ფონდის გასაზრდელად გამოვიყენებთ, აღდგენითი სამუშაოები კიდევ გადაიწევს და ეფექტიანობის უზრუნველყოფა გართულდება. რთულია პროცესები წარმართო დაბალანსებულად, მაგრამ ეს უნდა მოვახერხოთ.

— ყველას მაინც კონკრეტული რიცხვები და ვადები აინტერესებს. რა მოესწრება ახალ წლამდე ამ მიმართულებით?

— ახალ წლამდე რამდენიმე სტრატეგიული ობიექტის სარეაბილიტაციოდ უნდა გამოიყოს რესურსები. ეს ობიექტები უნდა განახლდეს, რომ პროგრამების განხორციელება შეუფერხებლად შეძლონ. ვფიქრობ, მოხერხდება მეცნიერის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაც. კვლევებისა და ინოვაციების საბჭო, რომელიც შეიქმნა პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით, უახლოეს მომავალში გაიმართება და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

— ივანე კიღურაძემ მასწავლებლების შეფასების ახალი, ოთხეტაპიანი სქემის გამოც გაგაკრიტიკათ. მისი თქმით, თუ ეს სქემა არ შეიცვალა, კანონპროექტს მხარს არ დაუჭერს. განხილვები ახლა რა ეტაპზეა?

— ამ ნაწილში ჩვენთვის ხელფასების გაზრდა პრიორიტეტულია, მაგრამ ეს კონკრეტულ შედეგებსა და მიღწევებზეა დამოკიდებული. ჩვენს მიერ დახარჯული რესურსი კარგად უნდა იყოს არგუმენტირებული. დასანანია, თუ ვინმეს არ ესმის, ამისთვის რა პროცედურები გავიარეთ. გაჩერებას არ ვაპირებ. სქემის მომზადებაში უამრავი ადგილობრივი თუ უცხოელი ექსპერტი იყო ჩართული. საქართველოს მიზანი ევროპულ სივრცეში ინტეგრაციაა. შესაბამისად, ექსპერტებმა არაერთი ევროპული ქვეყნის გამოცდილება შეისწავლეს და რეკომენდაციები სქემის ჩარჩოსთან დაკავშირებით, სწორედ ევროპული გამოცდილების შესაბამისად ჩამოაყალიბეს. სქემის განხილვისას არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, ათი ათასზე მეტი პედაგოგი, პროფკავშირები, ქართული და უცხოური უნივერსიტეტები მონაწილეობდნენ. წარმოდგენილი დოკუმენტი შეჯერებულია და მაქსიმალურადაა მორგებული ჩვენი ქვეყნის, პედაგოგების საჭიროებასა და რეალობაზე. როგორც ვიცი, მიმდინარე კვირაში კანონპროექტის მეორე საკომიტეტო მოსმენა ჩატარდება. სამინისტრო მზადაა, ყველა ის არგუმენტი მოისმინოს, რაც ამ სქემას უკეთესობისკენ შეცვლის.

— და თუ კრიტიკა არაჯანსაღი იქნება?

— მაშინ, დიდი ბოდიში, მაგრამ, როცა საქმე 60 000 მასწავლებელს ეხება, ბოლომდე პრინციპული დავრჩები!

— ამ კითხვას ლამის ყოველდღე პასუხობთ, მაგრამ დანიშვნის წამიდან ამბობენ, რომ პრემიერი თქვენ გათავისუფლებას გეგმავს. ამჯერად, „ვადა“ ახალ წლამდე მოგცეს. რაიმე ინფორმაცია თუ გაქვთ და საერთოდ, მუდმივად რატომ ტრიალებს ეს თემა?

— დანიშნული არ ვიყავი, როცა ჩემს გათავისუფლებაზე დაიწყო საუბარი. სახლში წასვლა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. თუ ვინმეს ჰგონია, ამხელა პასუხისმგებლობის აღება ადვილი და სასიამოვნოა, ცდება. ეს უმძიმესი სამუშაოა. უნდა გადადო შენი პიროვნული, ოჯახური მომენტები და თავიდან ბოლომდე ამ საქმეში გადაეშვა, თუ გინდა, რაღაც გამოგივიდეს. არ ვფიქრობ, რომ განათლების სისტემა დადებითი შედეგებით, რომელიმე სხვა უწყებას ჩამორჩება. ახლა კი ყველაზე მეტად ყბადაღებულ საერთაშორისო შეფასებებს ველი, რომლის მიხედვით, განათლების ნაწილში, 2009 და 2011 წლებში ძალიან დაბალი შედეგები გვქონდა. ეს შედეგები ჩვენთვის ცნობილი ზამთარში გახდება. ამიტომ ამ ე.წ. სამთავრობო კარუსელსა და მსგავს სამარჩიელო თემებზე მეტად, ჩვენი შვილების, პედაგოგებისა და მეცნიერების საკითხების მოწესრიგებაზე მირჩევნია ვიფიქრო. განათლებისა და მეცნიერების სფეროში, ძალიან მოკლე დროში, ბევრი საჭირო და შედეგიანი ცვლილება განხორციელდა.

ექსკლუზიური ინტერვიუ გრიგოლ ვაშაძესთან

რუსუდან შელია
557-100-768

რუსეთი საქართველოს სამ ნაწილად დაყოფას გეგმავს?!

ფაქტია, საქართველოს საგარეო პოლიტიკა ჩიხშია — რუსეთთან თანამშრომლობის აღდგენის ორწლიანმა მცდელობამ შედეგი, ჯერჯერობით, არ გამოიღო. პირიქით, უკურეაქცია სახეზეა — აბაშიძე-კარასინის დონეზე წარმოებულ მოლაპარაკებასა და ეკონომიკურ თანამშრომლობას რუსეთისთვის სულაც არ შეუშლია ხელი, რომ აფხაზეთისთვის თანამშრომლობის პროექტი შეეთავაზებინა. მართალია, მაია ფანჯიკიძემ ლუქსემბურგში გამართულ შეხვედრაზე ევროკავშირის 28 სახელმწიფოს ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და თავის მხრივ, დასავლეთმაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარი კიდევ ერთხელ დაუჭირა, თუმცა რამდენად შეძლებს ქართული მხარე რუსეთის აგრესიული გეგმების შეცვლას, „ვერსია“ საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრთან, საზოგადოება „ივერიის“ ერთ-ერთ დამფუძნებელთან, გრიგოლ ვაშაძესთან ინტერვიუს გთავაზობთ.

— ბოლო ორი წლის განმავლობაში ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ოკუპირებული ტერიტორიების თემა საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგიდან გამქრალიყო და საკითხი მაქსიმალურად მიჩქმალულიყო; მეტიც, ხელისუფლების პირველი პირები საკუთარი განცხადებებით ქვეყნის პოზიციებს მნიშვნელოვნად აზიანებდნენ. საუბარი იმის შესახებ, თითქოს

2008 წელს ომი საქართველომ დაიწყო და რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებაში პრინციპული მნიშვნელობა წინა ხელისუფლების რიტორიკას ენიჭებოდა, სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. გეგონება, რიტორიკა რუსეთის ქმედებებზე ადეკვატური რეაქცია არ იყო... განცხადებები იმის შესახებ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ იცის, როგორ დაალაგოს რუსეთთან ურთიერთობა, ჩვენ მოკავშირეებს უქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ქართულმა მხარემ ამ მხრივ იმედისმომცემ შედეგებს მართლაც მიაღწია, რის შესახებაც მათ ინფორმაცია არ ჰქონდათ. ამიტომ დღეს, როდესაც რუსეთი აფხაზეთის ღია სამართლებრივ ანექსიას ახორციელებს და ხელისუფლება დახმარებას სთხოვს პარტნიორებს, მათ რა რეაქცია უნდა ჰქონდეთ?

— თავდაცვის მინისტრმა რუსეთთან აგრესიული პოლიტიკის წარმოება უკვე დააანონსა. რუსეთთან ურთიერთობაში „თმენის რეჟიმის“ დასრულება თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ?

— საერთოდ არ მესმის, რას ნიშნავს აგრესიული საგარეო პოლიტიკა? საგარეო პოლიტიკა რუტინულ მუშაობას მოითხოვს და მას თავისი კანონები აქვს — უნდა შეაფასო, სად ხარ დღეს და გადაწყვიტო, სად იქნები სამი წლის შემდეგ. საინტერესოა, რუსეთთან აგრესიულ პოლიტიკაზე გადასვლა როგორ თანხმდება ხელისუფლების თეზისთან, თითქოს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია რუსეთთან ურთიერთობების დალაგებასთან თავსებადია? არაპროფესიონალი და უცოდინარი ადამიანები ტელეეკრანებიდან ჭკუას გვარიგებდნენ, რუსეთს დავარწმუნებთ, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება მოსკოვის ინტერესებში შედისო... რეალურად, რუსეთს პაუზა სჭირდებოდა — გარანტია უნდა ჰქონოდა, რომ, სანამ უკრაინის წინააღმდეგ აგრესიას ახორციელებდა და მიზნებს აღწევდა, საქართველოს ხელისუფლება ოკუპირებული ტერიტორიების აქტუალიზაციას არ შეეცდებოდა. ყირიმის ანექსიის შემდეგ, საქართველოსთვისაც „მოიცალა“ და აბსოლუტურად შეგნებულად, აფხაზეთთან „შეთანხმების პროექტი“ წინასწარ გამოაქვეყნა.

— ანუ აფხაზეთის ანექსია შეუქცევადია და მას ვერც საგარეო პოლიტიკის გამკაცრება და ვერც ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მაია ფანჯიკიძის შეხვედრები შეაჩერებს?

— პროცესი შეუქცევადი არ არის. დეოკუპაცია აუცილებლად მოხდება, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ პოზიციების დათმობა დაუშვებელია! რუსეთი ნებისმიერ ფორმატში, სადაც წარმომადგენლობა, დელეგაცია ან თუნდაც ერთი დიპლომატი ჰყავს, საქართველოსა და მისი მოკავშირეების მხრიდან მუდმივი წნეხის ქვეშ უნდა იყოს. ამის გარეშე შედეგის მიღწევა შეუძლებელია. ამ მიმართულებით პროცესის გაჩერება და პაუზის აღება, დამღუპველია, რადგან მუშაობის დაწყება ისევ ნულიდან გიწევს. თითქმის ყველაფერი, რასაც მუშაობის შედეგად მივაღწიეთ, დაიკარგა. მაგალითად, „ქართულმა ოცნებამ“ დამარხა იმ ხელშეკრულების რეალიზაციის შესაძლებლობა, რომელსაც საქართველომ და რუსეთმა, შუამავლების მეშვეობით, რუსეთის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის მოაწერეს. დოკუმენტის მიხედვით, რუსეთ-აფხაზეთისა და რუსეთ-ცხინვალის ვაჭრობაც კონტროლდებოდა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორწლიანი უმოქმედობით იმასაც „მივაღწიეთ“, რომ, თუ ახლა პარტნიორთან ოკუპაციის წინააღმდეგ მხარდაჭერის თხოვნით მიდიხარ, კარგად ინფორმირებული პარტნიორი მაგიდაზე რამდენიმე ციტატას გიდებს, რომელშიც ნათქვამია, რომ ყირიმს აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან საერთო არაფერი აქვს. ამასთან, თურმე რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული 25-წლიანი აგრესიული სამხედრო-ტერორისტული ომი, აფხაზური ერის თვითგამორკვევის პროცესია. საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს აქტუალობის დაბრუნებას კი, უზარმაზარი ძალისხმევა სჭირდება.

— ხელისუფლებას აქვს არგუმენტი, რომ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებისკენ ქართულ მხარეს თავად დასავლეთი მოუწოდებდა. ხელისუფლებაში ყოფნის დროს პარტნიორებისგან მსგავსი რეკომენდაცია არ მიგიღიათ?

— ჩვენი საგარეო პოლიტიკა იმპროვიზაციის ნაწილი არ ყოფილა. რუსეთის მიმართულებით ჩვენ მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი დასავლეთთან თანხმდებოდა. არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დალაგების წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ ეს პროცესი „ქართულმა ოცნებამ“ სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში რუსეთის პრობლემების დალაგების პოლიტიკად გადააქცია. დაასახელონ სახელი, გვარი და თარიღი, ვინ ან როდის დაუჭირა მხარი დასავლეთში აბაშიძე-კარასინის შეხვედრებს?

— გიორგი მარგველაშვილისა და პუტინის შეხვედრა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომლის მზადების შეჩერებაც, პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის განცხადებით, მთავრობამ მოითხოვა?

— ეს საუბრები სრულიად გაუგებარია! ჯერ ერთი, ხელისუფლებაში არ მეგულება ადამიანი, რომლის გაშვებაც ამ მოლაპარაკებებზე შეიძლება. მეორე მხრივ, სანამ ამ მოლაპარაკებაზე ვინმე წავა, ხელისუფლებამ რამდენიმე ელემენტარული ჭეშმარიტება უნდა შეიგნოს — თუ შეხვედრაზე ქულების დამთვლელი მსაჯი არ იმყოფება, რუსეთთან პირდაპირი ლაპარაკი დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში რუსეთს ყოველთვის ექნება შესაძლებლობა დაგაბრალოს ის, რაც არასოდეს გითქვამს ან უკიდურეს შემთხვევაში, გეტყვის, რომ პოზიტიურად განწყობილი არაკონსტრუქციულ მიდგომას წააწყდა და შეხვედრას იმედგაცრუებული ტოვებს. ასე რომ, პუტინთან მოლაპარაკებაზე შესვლამდე, ზუსტად უნდა გესმოდეს, რას და რატომ აკეთებ. საქართველოს ხელისუფლება კი, აბსოლუტურად არაორგანიზებულია, რაც მიმდინარე პროცესებმაც ცხადყო. გიორგი მარგველაშვილისა და პუტინის შეხვედრის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, მინისტრთა კაბინეტის ერთი წევრი ამბობს — შეხვედრის კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავიო, მეორე ამტკიცებს — მსგავსი მუშაობა საერთოდ არ დაწყებულა და ამის შესახებ არც გამიგიაო, პრემიერის სპეცწარმომადგენელი კი განმარტავს, შეხვედრისთვის ორგანიზაციული თვალსაზრისით სამუშაოები არ დაწყებულაო. უკაცრავად, არაორგანიზაციული სამუშაო რას ნიშნავს? ეს ფაქტიც კი ხელისუფლების სრული დეზორგანიზაციულობის მაჩვენებელია.

— The New York Times-ში დავით უსუფაშვილის სტატიის გასვლის შემდეგ განვითარებული პროცესებიც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ?

— რუსული ანდაზა მახსენდება: заставь дурака богу молиться он и лоб расшибет. მნიშვნელობა არ აქვს, სტატია ვინ დაწერა ან გადაგზავნა, ფაქტია, The New York Times-ის სარეკლამო ფურცელზე, რომელზეც ქართული ფული დაიხარჯა, საქართველოს დღევანდელ პრობლემებზე, განსაკუთრებით აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაციაზე ან რუსეთის აგრესიაზე სიტყვაც არ თქმულა. ესეც სამედიცინო დიაგნოზია.

— კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც, ჯერჯერობით, მთავრობაშიც აზრთა სხვადასხვაობაა — რა საფრთხეებს ქმნის ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობა?

— ვინც რუსეთის პოლიტიკაში ოდნავ მაინც ერკვევა, მარტივად მიხვდება, რატომ ხარჯავს რუსეთი ამ გზის მშენებლობაში 2,5 მილიარდ ამერიკულ დოლარს და რატომ შენდება 25-მდე გვირაბი და ხიდი. ამას რუსი პოლიტიკოსები და „პოლიტოლოგები“ არც მალავენ. როგორც ჩანს, რუსეთის გეგმა, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, ასე გამოიყურება: იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ მორიგი აგრესიის განხორციელებას გადაწყვეტს, მას საქართველოს სამ ნაწილად გაჭრის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. ანუ დასავლეთ საქართველოში აფხაზეთიდან შევა, ცენტრალურ ნაწილში — ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან და აღმოსავლეთ საქართველო — ავარეთ-კახეთის გზა. ეს შესაძლებლობას მისცემს, თავის სტრატეგიულ მოკავშირესა და იქ განთავსებულ სამხედრო ბაზას უმოკლესი გზით დაუკავშირდეს.

— ის ფაქტი, რომ ამ გზის მშენებლობაზე საქართველოს ხელისუფლება ჩამოყალიბებულ პოზიციას ჯერ კიდევ არ ახმოვანებს, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია?

— ეს კითხვა ყველას გვაქვს, რომელზეც პასუხი ვერ მივიღეთ. ვისაც სჯერა, რომ რუსეთი საქართველოსკენ მიმართულ კომუნიკაციებს ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისა და ტურიზმის განვითარებისთვის გამოიყენებს, მწარედ ცდება. მიუხედავად სპეციფიკური თავისებურებებისა, რუსები საკმაოდ პრაგმატულები არიან. „გონივრული ეჭვი“ გვაქვს, რომ შესაძლოა, არა კაბინეტის წევრი, მაგრამ ვილაც სხვა, აფხაზეთის მონაკვეთზე საქართველოს რკინიგზის აღდგენაზე მუშაობს, რათა მოსკოვი-ერევნის მიმართულებით პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა აღდგეს. სავარაუდოდ, ეს „სხვა“ ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობაზე გამართულ მოლაპარაკებებშიცაა ჩართული.

— ამიტომ საუბრობს რუსეთი ღიად ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სტაბილურობის ჩამოყალიბების პროცესის დაწყებაზე, რომელსაც თურმე, ოფიციალური მოსკოვის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგება ხელს შეუშლის?

— რა თქმა უნდა! რუსეთს ამიერკავკასიაში სამი სატელიტი სჭირდება, რომელიც მოსკოვის სამხედრო და საგარეო პოლიტიკურ მითითებებს უსიტყვოდ დაემორჩილება, ამიტომ საქართველომ უსაფრთხოებისა და ახალი საგარეო პოლიტიკური კონცეფცია სასწრაფოდ უნდა შეიმუშაოს. ის კონცეფცია, რომელიც ჩვენ დავტოვეთ, ჩუმად გააქრეს, თანაც მისი მოქმედების ვადა 2013 წელს ამოიწურა. ამას შემდეგ კი, ერთი კონცეფციალური დოკუმენტიც არავის შეუმუშავებია. არადა ეს აუცილებელია, რადგან უკრაინის მაგალითმაც დაგვანახა, რომ ყირიმი რუსეთის ბოლო გაჩერება არ არის. მათ კიდევ აქვთ გეგმები, რომლის სიაშიც საქართველო ბოლო ადგილზე ნამდვილად არ იკავებს. სანამ სერიოზული თავდაცვის მექანიზმებს არ შევიმუშავებთ, საქართველოც რუსეთის სამხედრო აგრესიის პოტენციური ობიექტი იქნება.

ვერსიანიუსი

საქართველოს ხელისუფლება უკრაინელ ხალხს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ულოცავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა უკრაინაში, 26 ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადება გაავრცელა: **„მივესალმებით უკრაინაში წელს უკვე მეორე დემოკრატიული არჩევნების — საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. უკრაინელმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი ქვეყნის ერთობას, ევროპულ არჩევანს და საკუთარი მოქალაქეობრივი ვალის აღსრულებით კიდევ ერთხელ დაამტკიცა ქვეყნის დემოკრატიულად განვითარების ურყევი ნება, რაზეც თავად არჩევნების დემოკრატიული, გამჭვირვალე პროცესი და მოსახლეობის მაღალი აქტივობაც მეტყველებს. სამწუხაროა, რომ ყირიმსა და სევასტოპოლში მთლიანად, ასევე დონეცკსა და ლუგანსკში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს არ მიეცა საშუალება, გაეკეთებინა არჩევანი და ამით საკუთარი წვლილი შეეტანა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა და ქვეყანაში არსებული რთული ვითარებისა, უკრაინამ მოახერხა ამ არჩევნების ღირსეულად ჩატარება. მივესალმებით უკრაინელი ხალხის არჩევანს და კიდევ ერთხელ ვუცხადებთ მხარდაჭერას უკრაინის მთავრობას და ახლადარჩეულ რადას ერთიანი და ძლიერი ევროპული სახელმწიფოს მშენებლობაში. გვჯერა, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, ძლიერი და დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ხალხის ერთობლივი ძალისხმევით, უკრაინა მოახერხებს უდიდეს გამოწვევასთან გამკლავებას და თავს დაიმკვიდრებს ევროპულ ოჯახში საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებით“.** უკრაინის არჩევნებს საქართველოს საგარეო უწყებაც გამოეხმაურა: **„ქართული მხარე პატივს სცემს უკრაინელი ხალხის თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევანს, რომელმაც მხარი დაუჭირა ქვეყნის ერთობას და ევროპულ მომავალს და წარმატებას უსურვებს უკრაინის მთავრობას, ხალხის მიერ არჩეულ ახალ პარლამენტს და სრულიად უკრაინელ ხალხს, უკრაინის, როგორც ჭეშმარიტად ევროპული ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში“.**

უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბოლო ინფორმაციით, ხმების 83,47%-ია დათვლილი. წინასწარი მონაცემებით, კვლავ ლიდერობს უკრაინის პრემიერ-მინისტრ არსენ იაცენიუკის პარტია „სახალხო ფრონტი“ (22,02%), მას მოსდევს ქვეყნის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს ბლოკი (21,64%), შემდეგ — გაერთიანება „სამოპომოჩი“ (10,98%), „ოპოზიციური ბლოკი“ (9,47%), „რადიკალური პარტია“ (7,46%), იულია ტიმოშენკოს პარტია „ბატკივშჩინა“ (5,7%).

„ვერსიანიუსი“

„ავტოგაზის“ ყოფილი გენერალური დირექტორი დავით ბეჟუაშვილს ამხელს

როგორ გააკოტრა ნაციონალურმა მოძრაობამ „ავტოგაზი“ და რას ითხოვენ კომპანიის ყოფილი აქციონერები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სააქციო საზოგადოება „ავტოგაზის“ ყოფილი აქციონერები — თენგიზ მაჭავარიანი, გია ღოღობერიძე, გიორგი გერსამია, ოთარ გერსამია, ზურაბ ლილუაშვილი, ირაკლი ნიკოლაიშვილი, გიორგი ერისთავი და დავით ბერაძე კუთვნილი კომპანიის დაბრუნებას ითხოვენ. აქციონერები აცხადებენ, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა, თეთრიწყაროს რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ბეჟუაშვილმა, „ავტოგაზის“ აქციების 100% უკანონოდ ჩაიგდო ხელში. კომპანიის წართმევის პროცესში მაშინდელი მთავარი პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, ფინანსური პოლიციის ყოფილი უფროსი დავით კეზერაშვილი, კახეთის ყოფილი გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი და საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ძმა, დავით სააკაშვილი მონაწილეობდნენ. „ავტოგაზის“ წინააღმდეგ ბრძოლა 2006-2007 წლებში, აქციონერების დაპატიმრებითა და მათთვის აბსურდული ბრალდებების წაყენებით დაიწყო. რა მოხდა რეალურად და როგორ წაართვა დავით ბეჟუაშვილმა ყოფილ მფლობელებს კომპანია? „ვერსიას“ ს/ს „ავტოგაზის“ ყოფილი გენერალური დირექტორი, გია ღოღობერიძე ესაუბრება.

— 2006 წელს დამიჭირეს და კორუფციულ გარიგებაში დამდეს ბრალი. თითქოს, გაზის კორპორაციის ხელმძღვანელებს გავურიგდი, რათა მათ მიერ მონოდებული გაზის რაოდენობა დაგვემალა და ამაში გარკვეულ თანხას ვიხდიდი, რაც სრული აბსურდი იყო. ბრალის წაყენების შემდეგ, „მოდულის“ შენობაში გადამიყვანეს და ჩემზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ. პირდაპირ მეუბნებოდნენ, თუ გარკვეულ თანხას გადაიხდი, გაგათავისუფლებთო. იმ პერიოდში, გაზის კორპორაციას დავით ინგოროყვა ხელმძღვანელობდა, რომელსაც არასოდეს შევხვედრივარ, არ ვიცნობდი. ადვოკატის საშუალებით შემომითვალეს, მეღიარებინა, თითქოს ქრთამის სახით, დავით ინგოროყვას 300 აშშ დოლარი გადავუხადე. უარი განვაცხადე. მეტიც, 1 000 000 ლარის გადახდა მომთხოვეს და მითხრეს, თუ ამ თანხას გადაიხდი, მეორე დღესვე გაგათავისუფლებთო. არც 1 000 000 ლარი გადავუხადე და როგორც უკვე გითხარით, არც დავით ინგოროყვას დავწამე ცილი, რადგან ეს მიუღებელია ჩემთვის. სამაგიეროდ, იმ საღამოსვე გამართეს სასამართლო და სამი თვით ციხეში ჩამსვეს. სამი თვის შემდეგ, საპროცესო გარიგება გამიფორმეს და 6 000 ლარის სანაცვლოდ გამათავისუფლეს. ჩემმა პარტნიორებმა კი, მთლიანობაში, 5 000 000 აშშ დოლარი გადაიხადეს.

— თუ მხოლოდ 6 000 ლარის სანაცვლოდ გაგათავისუფლეს, პარტნიორებმა 5 000 000 აშშ დოლარი რატომ გადაიხადეს?

— იმიტომ, რომ „ავტოგაზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მერაბ კალანდაძეც დააპატიმრეს და მასაც საპროცესო გარიგება გაუფორმეს. სამწუხაროდ, კალანდაძეს დიდი ოდენობით ნარკოტიკი ჩაუდეს და შენახვა-რეალიზაციის მუხლი წაუყენეს. მე და მერაბი ერთ დღეს დაგვაპატიმრეს — მე კაბინეტში დამიჭირეს და კორუფციულ გარიგებაში დამადანაშაულეს, მერაბი კი, სახლიდან აიყვანეს და ნარკოტიკები ჩაუდეს. როგორც კი პარტნიორებმა 5 000 000 აშშ დოლარი გადაიხადეს, გაგვათავისუფლეს.

— დავით ბეჟუაშვილი რა შუაშია ან „ავტოგაზის“ აქციების 100% როგორ ჩაიგდო ხელში?

— საიდან უნდა მოგვეტანა 5 000 000 აშშ დოლარი, თანაც ასე სწრაფად? ჩემმა პარტნიორებმა თავდაპირველად, „ავტოგაზის“ აქციების 50% გაყიდეს. „ავტოგაზის“ აქციები ბეჟუაშვილის კუთვნილი კომპანიის „საქთხევადგაზის“ წარმომადგენლებმა შეიძინეს. მეტიც, ბეჟუაშვილის შუამავალი გვაიძულებდა, „ავტოგაზის“ აქციები მხოლოდ „საქთხევადგაზისთვის“ მიგვეყიდა. აქციების გაყიდვამდე, პარტნიორებმა ბანკიდან სესხის აღება გადაწყვიტეს, მაგრამ არც ერთმა კომერციულმა ბანკმა სესხი არ მისცა და ამიტომ, ჩვენს გასათავისუფლებლად, კომპანიის 50%-იანი წილი გაყიდეს. აქციების 50% ისევ ჩვენს საკუთრებაში იყო და გათავისუფლების შემდეგ კომპანიაში დავბრუნდით, მაგრამ ერთობლივი მუშაობა შეუძლებელი გახდა. დაახლოებით სამ თვეში, დარჩენილი აქციების 50%-იც გავყიდეთ, ოღონდ მხოლოდ 4 000 000 აშშ დოლარი გადაგვიხადეს. რეალურად, იძულებულნი გავხდით, კომპანია დაგვეთმო, რადგან ბეჟუაშვილის წარმომადგენლებმა „ავტოგაზის“ მიზანმიმართული გაკოტრების პროცესი დაიწყეს. რევიზია ჩაატარეს, 1 800 000 ლარის ჯარიმა დაგვაკისრეს და პირდაპირ გვითხრეს, რომ ჯარიმა მხოლოდ ჩვენ უნდა გადაგვეხადა. გარდა ამისა, არც ფინანსურ დოკუმენტებში გვახედებდნენ და ისიც კი არ ვიცოდით, რას საქმიანობდნენ. პარალელურად, საგადასახადო ინსპექციამ ორ-სამ ადამიანს ბინა ჩაუფარა, ოფისი ჩაუფარა, ბანკი ჩაუფარა, ანგარიშები ჩაუფარა, ანგარიშებზე ფული ჩაუფარა, ანგარიშებზე ფული ჩაუფარა, ანგარიშებზე ფული

„ჩემს წამლებს ებოლას ვირუსის დამარცხებაც შეუძლია“

დომენტი გაგნიძე ხელისუფლებას მიმართავს ნუ მოიქცევა სააკაშვილივით და სამართლიანობის აღდგენაზე იზრუნოს



დავით დევიძე
593-219-042

ცნობილი სახალხო მკურნალი დომენტი გაგნიძე სენსაციურ განცხადებას აკეთებს. მკურნალი ამბობს, რომ მის წამლებს ებოლას ვირუსის დამარცხება შეუძლია. ებოლას დღემდე ამაოდ ებრძვიან წამყვანი სამედიცინო კლინიკები და დომენტი გაგნიძის განაცხადი უცხოელ მედიკოსებს უთუოდ დააინტერესებს. თუმცა, არსებობს ერთი პრობლემა — წინა ხელისუფლებამ სახალხო მკურნალს ჯერ ფული, შემდეგ კი, წამლის წარმოებისთვის საჭირო აპარატურაც წაართვა. ანუ, ფაქტობრივად, გაგნიძეს მუშაობის უფლება არ დაუტოვეს. როცა ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლება მოვიდა, გაჩნდა იმედი, რომ უსამართლოდ დაჩაგრულ მკურნალს თუ არ დაეხმარებოდნენ, ხელს მაინც აღარ შეუშლიდნენ, მაგრამ სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ დაპირებად დარჩა. შესაბამისად, იმის ნაცვლად, სამკურნალო საქმიანობით, ანუ მედიკამენტების დამზადებით დაკავდეს, დომენტი გაგნიძე იძულებულია, სასამართლოში ირბინოს.

— ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა სამი წლის წინ — 2011 წლის ოქტომბერში. ნაციონალური მოძრაობის პირადი ინტერესების გამტარებელმა მაშინდელმა ფინანსთა სამინისტრომ ბრალი დამდო გადასახადების თავისარიდებაში, რის გამოც ჩემს წინააღმდეგ მთელი რიგი უკანონო ღონისძიებები განხორციელდა — წამართვეს წლების განმავლობაში პატიოსანი გზით ნაშოვნი ფული და ასევე სამკურნალო საშუალებების საწარმოებლად საჭირო აპარატურა. როგორც მოგახსენეთ, უკვე სამი წელი გავიდა ამ ამბის შემდეგ, თუმცა ჩემი საქმის მსვლელობა ისევ ძველი ინერციით მიდის. სამართლიანობის აღდგენას არავინ ჩქარობს.

— კონკრეტულად რა თანხა წაიღეს და რაში გამოიხატება წინა ხელისუფლების უკანონობა?

— 2012 წლის თებერვალში ფინანსური გამოძიების თანამშრომლები შემოვიდნენ ჩემს სახლში, თელავის რაიონის სოფელ შალაურში და ჩაატარეს ჩხრეკა. გაჭრეს სეიფი და ამოიღეს მილიონ 241 ათას 978 ლარი. ეს თანხა, როგორც ნივთმტკიცება, ზედ დაერთო სისხლის სამართლის საქმეს და ჩარიცხეს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. მერე, საგამოძიებო ორგანომ, უკანონოდ და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ნივთმტკიცებიდან, 1 239 508 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხა. თითქოს ჩემი, როგორც შპს „დომენტი გაგნიძის ნატურო-აფთიაქის“ საგადასახადო დავალიანების დასაფარად. დანარჩენი თანხა კი ისევ ნივთმტკიცებად დატოვეს. ერთი სიტყვით, ისე ჩამომართვეს ფული, ამის არანაირი სამართლებრივი საფუძვლები არ გააჩნდათ. როგორ უნდა გადაწყვეტილიყო ჩემი საკუთარი ფულის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა, როცა სისხლის სამართლის საქმე არ დასრულებულა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია? დღესაც არ არის საქმე დასრულებული და გამოძიება მიმდინარეობს. კიდევ ერთი კურიოზი ისაა, რომ ამ გამოძიების პროცესში ჩემი ბრალეულობის საკითხი არავის დაუსვამს და საქმეში მხოლოდ მოწმის სტატუსით გავდივარ. აქედან გამომდინარე, ისიც გაუგებარია თუ მოწმე ვარ, ფული რატომ წამართვეს.

— ძალიან დიდი თანხა წაუღიათ. ამხელა ფული რისთვის გჭირდებოდათ?

— სანამ ნატურო-აფთიაქს შევქმნიდი, რამდენიმე წლის განმავლობაში, რუსეთში ვმუშაობდი შვილთან ერთად და საკმაო თანხა დავაგროვეთ. შემდეგ, საქართველოში დავბრუნდი და გავაკეთე ბალახეული წამლები „დომენტოლი“ და „გაგენოლი.“ ასე დავიწყე სამეწარმეო საქმიანობა. ფარმაცევტულ ბაზარზე შესვლა ძალიან ბევრ სირთულეს უკავშირდება. არავის აწყობს წარმატებული კონკურენტის არსებობა. ჩემმა წამლებმა ეფექტურად რომ იმოქმედეს ავადმყოფებზე და პაციენტების დიდი რიგი მომაწყდა, პრობლემები შემექმნა ფარმაცევტულ კომპანიებთან. ბაზარზე დამოუკიდებელი მოთამაშის სტატუსი რომ შემენარჩუნებინა, გადავწყვიტე, თავად დამერეგისტრირებინა ჩამომსხმელი საამქრო, სადაც სათანადო ნებართვის აღების შემდეგ დავამზადებდი ჩემს წამლებს. ამისთვის საჭირო იყო სპეციალური მოწყობილობის შეძენა. სწორედ ამისთვის მჭირდებოდა ეს ფული. რა იყო აქ კრიმინალური და გაუგონარი? მე ხომ იმ პერიოდისათვის ცნობილი სახალხო მკურნალი ვიყავი და წარმატებული ბიზნესი მქონდა. ასე რომ, ეს იყო სრულიად კანონიერად ნაშოვნი ფული, რომელიც უკანონოდ წამართვა წინა ხელისუფლებამ. პრობლემა კი ისაა, რომ დღეს ახალი ხელისუფლება ამ უკანონობის გამოსწორებას არ ჩქარობს. არადა, როგორც უკვე გითხარით, ეს უკანონობანი საკმაოდაა საქმეში. ჯერ ერთი, ჩემი ბინიდან ამოღებული ფული არის ნივთმტკიცება და გამოძიების დასრულებამდე დართული უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის საქმეზე. ანუ დარჩენილიყო იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. მეორეც — გამოძიებამ ისე წამართვა ფული და ჩარიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში, არ შეისწავლა მისი წარმომავლობა. მესამე — გამოძიებამ ისე წამართვა ფული, ჩემს წინააღმდეგ არ არსებობს არანაირი დადასტურებული ბრალდება და არ გამოტანილა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

ამიტომ ვაცხადებ, რომ უკანონოდ მომექცნენ და ჩემი ყველა უფლება დარღვეულია. პროკურატურას მივმართე ადმინისტრაციული საჩივრით ამ უკანონობებთან დაკავშირებით. თუმცა, დღემდე არ მიმიღია პასუხი. ამიტომ ვთვლი, რომ შეგნებულად აჭიანურებენ პასუხს. მე მოხუცი კაცი ვარ და შეიძლება ბევრ რამეში ვერ ვერკვეოდე, მაგრამ თუკი პროკურატურაში ისევ ისინი სხედან და წყვეტენ საქმეს, ვინც ნაციონალური მოძრაობის დროს იჯდა, ალბათ კარგს არაფერს უნდა ველოდე. ორი წელი რატომ არ არის საკმარისი სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად? რამდენიმე დღის წინ ახალი სარჩელი შევიტანეთ სასამართლოში ფულის დაბრუნების მოთხოვნით. იქნებ ახლა მაინც მომაქციონ ყურადღება.

— თქვენ სკანდალურ განცხადებაზეც უნდა გკითხოთ — ებოლას ვირუსს თქვენი წამლები მართლა კურნავს?

— ებოლა ინფექციაა და ჩემი წამლები საუკეთესოა ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლაში. გული მწყდება — მაშინ, როცა წამლების დამზადებით უნდა ვიყო დაკავებული, იურისტებთან სირბილი მიწევს ოთხმოცი წლის კაცს. ცოტა ხნის წინ მადლობა გადამიხადეს იმის გამო, რომ ჩემმა პრეპარატებმა სიელმე განკურნა. არც მახსოვდა იმ პაციენტის არსებობა და ძალიან გამიხარდა. მარტო სიელმე კი არა, ისეთი დაავადებულებიც მოვარჩინე, დედამიწაზე დღემდე რომ არავის მოურჩენია. თუნდაც, გაფანტული სკლეროზი. სამოცდაათი ასეთი განკურნებული ადამიანი მყავს და ნუთუ ამაზე მეტის გაკეთება შეუძლია დღევანდელ მედიცინას?

თუ შეუძლიათ, რატომ არიან ჩუმად? ამოიღონ ხმა და სიმართლე თქვან. მაგრამ დღევანდელ მსოფლიოს და ჩვენ ქვეყანასაც ფულაობა ღუპავს. ხელისუფლებას მივმართავ, ნუ მოიქცევა სააკაშვილივით. ჩემს პრეპარატებს ბევრი განუკურნებელი დაავადების მოსპობა შეუძლია, მათ შორის ებოლას ვირუსისაც. უცხოეთიდან არის გამოხმაურება და დაინტერესება, მაგრამ ჩემი სურვილია, ამ კუთხით გამოკვლევები საქართველოში ჩატარდეს და არა საზღვარგარეთ, რაც ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

„გრიპის პრევენცია ვაქცინაა“

რამდენად უსაფრთხოა აცრა გრიპის წინააღმდეგ, ვის ჩაუტარდება უფასოდ და როგორ დავიცვათ ბავშვები ვირუსისგან

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

გრიპი და გაციება — ზამთრის სეზონის განუყოფელი ნაწილია, თუმცა ბოლო პერიოდში საკმაოდ პოპულარული გახდა იმუნიზაცია გრიპის წინააღმდეგ. უფრო სწორად, ჩვენს ქვეყანაში ნელ-ნელა მკვიდრდება ეს ტრადიცია და შესაბამისად, საზოგადოების აზრიც ორად იყოფა — ერთნი ამბობენ, რომ სწორედ იმუნიზაციაა ერთადერთი ეფექტური პრევენციული საშუალება, მეორენი კი უნდობლობას უცხადებენ წამალს, რომელსაც „კაცმა არ იცის, რეალურად რა შემცველობა აქვს და რამდენად უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის“... მით უმეტეს, რომ ვაქცინაციით უკმაყოფილო ადამიანები ნამდვილად არსებობენ: მაგალითად, ერთმა მეგობარმა, რომელიც ორიოდე თვეა ამერიკაში ცხოვრობს გაგვიმხილა, რომ უცხოეთში გამგზავრებამდე, ყველას უტარდება იმუნიზაცია, თუმცა ამის მიუხედავად, გრიპი შეხვდა და თანაც ისეთი მძიმე ფორმით, ამბობს, საქართველოში არსებული ვაქცინა ეფექტური რომ იყოს, ასეთ მდგომარეობაში არ ვიქნებოდიო.
სხვათა შორის, გრიპის ვაქცინის შესახებ არაერთი სკანდალი ადრეც აგორებულა... დღეს რა შეიცვალა ამ მხრივ, გარდა იმისა, რომ მისი ღირებულება ბევრად ნაკლებია? რამდენად ეფექტურია გრიპის ვაქცინა და რას ურჩევს მოსახლეობას დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი? ვერსიას გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, ხათუნა ზახაშვილი ესაუბრება.

— ნამდვილად არ ვიცი, საიდან მიიღეთ ინფორმაცია ვაქცინის ეფექტურობის შესახებ... ინსტიტუტები მუშაობენ, რომ ვაქცინის ეფექტურობა დაადგინონ და ვიღაცამ რაღაც თქვა, ნამდვილად არ არის არგუმენტირებული. ჩვენთან მხოლოდ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აკრედიტებული და რეცეფცირებული ვაქცინები შემოდის, რაც ნიშნავს, რომ ისინი ეფექტურია სეზონური გრიპებისთვის. შარშანაც ასეთი ვაქცინა იყო ქვეყანაში და წელსაც. უბრალოდ, ახლა სახელმწიფოს პოლიტიკა შეიცვალა რისკჯგუფების მიმართ...

— კონკრეტულად რა შეიცვალა ამ მხრივ?

— სახელმწიფომ იზრუნა განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ მყოფი პოპულაციისთვის და მათთვის ცალკე შეიძინა ვაქცინა, რომელიც ასევე მსოფლიო ორგანიზაციის მიერაა რეკვალიფიცირებული... ეს ვაქცინა უკვე მივაწოდეთ პროვაიდერებს.

— რა რისკჯგუფები განსაზღვრა სახელმწიფომ?

— მოხუცებულები, თავშესაფრებში მცხოვრები ბავშვები და მომსახურე პერსონალი, დიაბეტით დაავადებული ბავშვები და მოზარდები, ასევე ნებისმიერი ტიპის დიალიზზე მყოფი პაციენტები, მაღალი რისკის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ექიმები და ორსულები... მომდევნო ერთი თვე გამოცხადებულია იმუნიზაციის პერიოდად და მათ მიეწოდებათ ეს ვაქცინა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

— ვაქცინა რისკჯგუფებს უფასოდ დაურიგდება?

— დიახ, მომსახურება უფასოდ მიეწოდებათ — მივლენ და აცრიან, ხოლო ვინც რისკჯგუფში არ არის, მათთვის აცრა ნებაყოფლობითია, თუმცა რეკომენდებულია ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებისთვის.

— ქალბატონი ხათუნა, რამ გამოიწვია ფასის ცვლილება. როგორც ვიცი, ადრე გრიპის საწინააღმდეგო აცრა საკმაოდ ძვირი იყო...

— ვერ გეტყვით... არ ვიცი, არ დავინტერესებულვარ კონკრეტულად ფასებით...

— დღეს რა მდგომარეობაა გრიპის მხრივ საქართველოში?

— გრიპი და გაციება სხვადასხვაა. გაციებას იწვევს 200-მდე სხვადასხვა სახეობის ვირუსი, გრიპს კი — მხოლოდ სამი სახეობის ვირუსი... ჩვენ ვაკვირდებით და ჯერჯერობით ქვეყანაში უმნიშვნელო რაოდენობით ვლინდება გრიპის შემთხვევები, რაც ნიშნავს, რომ გრიპის აქტიური ცირკულაცია დაწყებული არ არის.

— და რა პრევენცულ ზომებს უნდა მიმართოს მოსახლეობამ, გართულებების თავიდან ასაცილებლად?

— გრიპის პრევენცია ვაქცინაა, დანარჩენი რესპირაციული ვირუსული დაავადებების პრევენციის მხოლოდ არაპირდაპირი საშუალებები არსებობს, რაც ცხოვრების ჯანსაღ წესში, პირადი ჰიგიენის დაცვაში, ჯანსაღ კვებასა და ჯანსაღ ფიზიკურ აქტივობაში გამოიხატება. რაც შეეხება ბავშვებს, მშობლებს ვურჩევდი, ხშირად დააბანინონ ხელი, დაიცვან პირადი ჰიგიენა, ხშირად გაანიავონ ოთახი, სველი წესით დაალაგონ და აუცილებლად წაიყვანონ პატარები აცრაზე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კავკასიის მიკრო კრედიტი“ 2013 წლის ანგარიში

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კავკასიის მიკრო კრედიტი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო ანგარიშგებას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2013 წლის 15 ივლისიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი, აგრეთვე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

აუდიტორი ითავლისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩევის პროცედურები დაფუძნებულია აუდიტორის მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემას, რომლის საფუძველზეც აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის გასაცემად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „კავკასიის მიკრო კრედიტი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას 2013 წლის 15 ივლისიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შპს „IG GROUP“
23.10.2014

IG GROUP LTD

მოგება ზარალისა და

ერთობლივი შემოსავლის გაანგარიშება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	2013 წლის 15 ივლისიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
საპროცენტო შემოსავლები	
საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან	52052.88
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	**52052.88**
საპროცენტო ხარჯი	
ფიზიკური პირებიდან ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები	29773,84
იურიდიული პირებისგან ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები	-
ბანკებიდან ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები	-
მთლიანი საპროცენტო ხარჯები	**40758,698**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	22279,04
არასაპროცენტო შემოსავლები	
წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურებების მიხედვით	24401,67
მოგება(ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	2562,45
მოგება(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებებიდან	621,5
მოგება (ზარალი) ქონების რეალიზაციიდან	-
სხვა არასაპროცენტო შემოსავლები	
მთლიანი არასაპროცენტო შემოსავალი	27585,62
არასაპროცენტო ხარჯები	
სხვა ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები	1724,08
განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები	9989,23
პერსონალის ხარჯები	64460
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	4664,69
სხვა არასაპროცენტო ხარჯები	49802,11
სულ არასაპროცენტო ხარჯები	130640,11
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი	-103054,49
მოგება დაბეგვრამდე	-80775,45
მოგების გადასახადი	-
წმინდა მოგება (ზარალი)	-80775,45

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	
ნაღდი ფული სალაროში	88630,63
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	6648,97
კლიენტებზე გაცემული სესხები	912463,26
დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	13860,51
ავანსები	2509,28
დებიტორული დავალიანება	2946,1
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	47011,72
მცირეფასიანი ინვენტარი	
სულ აქტივები	1074070,47
ვალდებულებები	,
ნასესხები სახსრები	868150
დარიცხული და გადასახდელი პროცენტები	7611,18
მიღებული ავანსები	6248,56
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	205,34
სხვა ვალდებულებები	2630,84
სულ ვალდებულებები	884845,92
კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	270000
გაუნაწილებელი მოგება	-80775,45
სულ კაპიტალი	189224,55
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1074070,47

კაპიტალში ცვლილებები

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	*საწესდებო კაპიტალი*	*გაუნაწილებელი მოგება*	*სულ*
ნაშთი 2013 წლის 15 ივლისის მდგომარეობით	0	0	0
(რეგისტრაციის თარიღი)			
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება	0	0	0
გაცემული დივიდენდები -			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	270000		270000
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**270000**		**270000**

ლაბირინთები სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში ცვლილებები შედის. მალე კანონში პრივატიზების ორი ახალი ფორმა — სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემა და გაცვლა გაჩნდება. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ცვლილებით, სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის უფლება მხოლოდ სახელმწიფოს ექნება, ოღონდ შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. ეკონომიკის ექსპერტების შეფასებით, ამ ცვლილებებით, სახელმწიფო ქონება სიმბოლურ ფასად — 1 ლარად აღარ გასხვისდება და პირს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა.

რა ცვლილებებს გულისხმობს ახალი კანონპროექტი, რას ნიშნავს სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემა-გაცვლა და რატომ ვერ ჩაწვდა ცვლილებების ლოგიკურ არსს რომან გოცირიძე

სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში ცვლილებების მთავარი მიზანია, პრივატიზების პროცესი უფრო მოსახერხებელი გახდეს. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, პაატა კვიჟინაძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ კანონპროექტი ჯერ არ წაუკითხავს და შესაბამისად, კომენტარსაც ვერ გააკეთებს. ცვლილებების კანონპროექტი პარლამენტის ვებგვერდზე ატვირთული არ არის, მაგრამ ეკონომიკის ექსპერტების განმარტებით, მთავრობამ ის საკანონმდებლო ორგანოში უკვე შეიტანა.

„ვერსიამ“, ექსპერტების დახმარებით, გაარკვია, რა ცვლილებები შედის კანონში სახელმწიფო ქონების შესახებ. იმის გამო, რომ ქვეყანაში სახელმწიფო ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის სამართლებრივი რეგულაციები არ არსებობს, ალტერნატიულ საშუალებად ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემა რჩება. არადა, სახელმწიფო ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზება, შინაარსით, ამ ქონების ჩუქებას ემსგავსება. სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის მიხედვით, სახელმწიფო ქონება სიმბოლურ ფასად გადაეცემა იძულებით გადაადგილებულ პირებს, ეკომიგრანტებს, სოციალურად დაუცველებსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, წახალისების მიზნით კი ინვესტორებსაც.

კანონპროექტში შესატანი ცვლილების მიხედვით, სახელმწიფო ქონების საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს ეკონომიკის მინისტრი, შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრავს. ამავე ცვლილებებით, სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა პირობებითაც განხორციელდება და პირობების გარეშეც. ცვლილებების თანახმად, საინვესტიციო ვალდებულების შესრულების პირობებიც იზრდება: **„მყიდველი ვალდებულია, საინვესტიციო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო პირობად, ვალდებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი გარანტია წარადგინოს. ორი თვის ნაცვლად, ამ გარანტიის ვადა ოთხი თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების ვადას“.**

თუ ინვესტორი პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულების პირობებს დაარღვევს, სახელმწიფო ხელშეკრულებას ცალმხრივად შეაჩერებს, ხოლო პრივატიზებული ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში დაბრუნდება; ამ ქონებაზე რეგისტირებული მესამე პირის იპოთეკის უფლება გაუქმდება, თუ ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზაციო ვალდებულებების ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში, ქონების შემძენს გადახდილ თანხას სახელმწიფო არ აუნაზღაურებს.

ცვლილებების მიხედვით, სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების დაზიანების შემთხვევაში, პირის მიერ, ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების პროცედურაც მარტივდება. სახელმწიფო დაწესებულებას უფლება აქვს, დაზიანებული ქონება ზიანის მიმყენებელს მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე გადასცეს. ამის სანაცვლოდ კი, სხვა ქონება მიიღოს და ბალანსზე აიყვანოს.

ცვლილებებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, შესაბამისი ხელშეკრულების ფორმას ეკონომიკის სამინისტრო ამტკიცებს. პრივატიზების განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია, აუქციონში გამარჯვების დადასტურება წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით გასცეს. შესაბამისი ხელშეკრულება აუქციონის ჩატარებიდან 45 დღის ვადაში, მთავრობის მიერ კი შესაბამისი აქტის მიღებიდან 3 თვის ვადაში გაფორმდება.

„ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ თავმჯდომარე, **რომან გოცირიძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ პრივატიზების ორი ახალი ფორმა — სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემა და გაცვლა კითხვის ნიშნებს აჩენს:

„ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ქონება არა ყიდვა-გაყიდვის, არამედ ჩუქების ფორმით გადაეცემა დაინტერესებულ პირებს. რა თქმა უნდა, ჩუქება და სახელმწიფო ქონების სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გაყიდვა, ფინანსური თვალსაზრისით, იდენტური ცნებებია, მაგრამ იურიდიული, მით უმეტეს, ფსიქოლოგიური, მორალური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, ასე სულაც არ არის. პირველ შემთხვევაში, ქონების გადაცემა ხდება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე შემთხვევაში — განსხვავებული ფორმით. ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენს წამოაძახებენ, რატომ ან რა მიზნით გაჩუქა მთავრობამ ქონებაო. ზოგადად, ნაყიდი ქონება უფრო დაცულია და ამიტომ, ცივილიზებულ მსოფლიოში, ქონების სიმბოლურ ფასად — 1 აშშ დოლარად გაყიდვის ტრადიციაა გავრცელებული. მეორე ცვლილება, რომელიც პრივატიზების ახალი ფორმის შემოღებას, ანუ გაცვლას ეხება, უფრო საეჭვოა“.

რომან გოცირიძის განმარტებით, ამჟამად მოქმედ კანონში, პრივატიზების ორი ანალოგიური ფორმა არსებობს. პრივატიზება პირდაპირი მიყიდვის წესით, რაც ძალიან სწრაფად და მარტივად შეიძლება, თუნდაც ქონების 1 ლარად მიყიდვის წესით. მეორე წესი კი, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ქონების პირდაპირი წესით მიყიდვასა და უსასყიდლოდ გადაცემას გულისხმობს. მისი თქმით, პრობლემა ისაა, რომ ცვლილების მიხედვით, კანონში პრივატიზების სრულიად ახალი ფორმა, ანუ სახელმწიფო ქონების გაცვლა შემოდის: **„ამჟამად მოქმედ კანონში, ეს ნორმა ასეა განმარტებული — სახელმწიფო ქონების გადაცემა ტოლფასი ქონების სანაცვლოდ. მთავრობის პროექტში კი, ტოლფასობის ცნება ქრება, ანუ მე შემიძლია, მეორე ადამიანს, მილიონი ლარის ქონება, ათასი ლარის ქონების სანაცვლოდ გადავცე! აი, ეს კი ნამდვილად დამაფიქრებელია, ნუთუ, სახელმწიფოს ათასლარიანი ქონების სანაცვლოდ, მილიონიანი ქონების შეთავაზება უღირს? ეს ხომ სრული აბსურდი და უაზრობაა?! არ დაგიმალავთ და, პირდაპირ გეტყვით, რომ ამ ცვლილებების ლოგიკურ არსს ვერ ჩავწვდი“.**

„ფონდ ნატახტარის“ მიღწევები — სამ წელში, 420 000 ლარი შეგროვდა!

2011 წლიდან, „ფონდი ნატახტარი“, მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში ეხმარება. მათთვის საჭირო თანხა ფონდში ნოემბრიდან, თებერვლამდე გროვდება. ამ პერიოდში გაყიდული „ნატახტარის“ ლიმონათის ყოველი ბოთლიდან, ფონდის ანგარიშზე, 1, 3 და 5 თეთრი (შეფუთვების შესაბამისად 0.33 ლ; 0.50 ლ; 1 ლ და 2 ლ) ირიცხება. სამი წლის განმავლობაში, ფონდში 420 000 ლარზე მეტი შეგროვდა. პროექტის „იზრუნე მომავალზე“ ფარგლებში, 159 ბენეფიციარი ფსიქოლოგიური კონსულტაციებით სარგებლობს. ბენეფიციარებს საგნებშიც ამზადებენ, სპეციალისტები პროფესიული განათლებისა და მართვის მოწმობის მიღებაში, ასევე პროფესიისთვის საჭირო იარაღების/მასალის შეძენაშიც ეხმარებიან. „ფონდი ნატახტარი“ კი მათ სტიპენდიით, ბინის ქირით, კვებისა და გზის ხარჯებითაც უზრუნველყოფს. რაც მთავარია, ფონდი თითოეული ბენეფიციარისთვის თანხას მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად გამოყოფს.

ფონდის ხელშეწყობით, მზრუნველობამოკლებული მოზარდები წარმატებულები და დამოუკიდებლები არიან

„ფონდი ნატახტარის“ ხელშეწყობით, ვანო და სოსო (ანონიმურობის დასაცავად, ბენეფიციარების სახელები შეცვლილია), დღეს წარმატებულები და დამოუკიდებლები არიან. პროექტში „იზრუნე მომავალზე“, ვანო 2013 წლის აპრილიდან ჩაერთო. ძალიან პატარა იყო, როცა დასთან ერთად, მამიდამ ბავშვთა სახლში მიიყვანა, საიდანაც მცირე საოჯახო სახლში მოხვდა. ვანო ახლა 18 წლისაა და მცირე საოჯახო სახლში, ამ ასაკამდე დაჰყო. კოლეჯი „მოტორისტის“ სპეციალობით დაამთავრა, ამჟამად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და ლითონკონსტრუქციების ქარხანაში ოპერატორად მუშაობს. ვანოს შემოსავალი დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის ჯერ საკმარისი არ არის, ამიტომ „ფონდი ნატახტარი“ ბინის ქირასა და კომუნალურ გადასახადებს უხდის. ვანო მშვიდი, წყნარი, მოწესრიგებული ადამიანია. აქვს სიტუაციის სწორად შეფასების, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ქმედებების დაგეგმვისა და გეგმის განხორციელების უნარი. იცის ფულის განაწილება, ეხერხება საოჯახო საქმე და სადილების კეთებაც. ზომიერად კომუნიკაბელური და თბილია. იმედი გვაქვს, ამ თვისებების დახმარებით, ვანო მალე მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას, რაშიც წარმატებას ვუსურვებთ!

***

სოსოს რჩენა მისმა მარტოხელა დედამ ვერ შეძლო, რის გამოც შვილი ბავშვთა სახლში დატოვა. ამის მიუხედავად, სოსო ადამიანებისა და ცხოვრების მიმართ პოზიტიური განწყობით გამოირჩევა. ახლა 20 წლისაა და ისევ დედასთან ერთად ცხოვრობს. პროექტში „იზრუნე მომავალზე“, 2013 წლის აპრილიდან ჩაერთო. დავალებებს ყოველთვის სხარტად, დროზე და ბეჯითად ასრულებს. ამ ხნის განმავლობაში, სოსოს მუდმივად უტარდება ფსიქოლოგიური კონსულტირება პროფორიენტაციის, ახალ გარემოსთან ადაპტაციისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარების მიმართულებით. „ფონდი ნატახტარის“ დახმარებით, სოსომ წარმატებით გაიარა ავტოსკოლის კურსები და უკვე მართვის მოწმობაც აქვს.

სოსო კოლეჯში სწავლობს, სპეციალობად კი ელექტრო გაყვანილობები, საკაბელო ქსელები და ვებტექნოლოგიები აირჩია. ფსიქოლოგისა და კომპანია „სილქნეტის“ მჭიდრო თანამშრომლობით, კომპანიის ბაზაზე, წარმატებით გაიარა ტრენინგი და პრაქტიკა. სოსო დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად მზადაა, თუმცა ჯერ არ მუშაობს და ამიტომ „ფონდი ნატახტარი“ მის მხარდაჭერას აგრძელებს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲛᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4		3						5
9	6	8			4	3		
			6	3				
	5			1	9			7
7			8	6			9	
				8	1			
		6	9			1	5	2
3						8		9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

			2			4	3	
4					9		7	5
								2
1			7	2		6		
3								8
		5		6	1			4
2								
7	1		4					9
	8	4			5			

ᲠᲗᲣᲚᲘ

7		4			1			9
	1							
			7	3				
3		2			7	9		4
		8				3		
9		6	3			8		2
				8	5			
							4	
4			1			6		3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7					8		5	
	6			7		9		
	1	4	9					
	4	8				7		
	7	1	8	9	5	4	6	
		2				1	9	
					9	5	4	
		7		3			8	
	8		5					9

ჩიფსი მკერდის კიბოს იწვევს?

ამერიკელმა სწავლულებმა გამოკვლევისას დაადგინეს, რომ კვირაში ორჯერ ხრაშუნა კარტოფილის მირთმევა დაავადების წარმოშობის რისკს 70%-ით ზრდის. თუ ადამიანი ნახევარი წლის განმავლობაში, ყოველდღიურად შეჭამს ერთ შეკვრა ჩიფსს, სიმსივნის განვითარების ალბათობა 300%-ით გაიზრდება. ამ მონაცემებით, მკვლევარები გვირჩევენ, საერთოდ არ მივირთვათ ჩიფსი მისი მაღალი კანცეროგენურობის გამო. მიიჩნევენ, რომ ეს პროდუქტი ადამიანის ჯანმრთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

გადანერგილი საშვილოსნოთი ბავშვი გააჩინა

მსოფლიოში პირველი უნიკალური შემთხვევა დაფიქსრიდა — გადანერგილი საშვილოსნოთი ქალმა ჯანმრთელი ბავშვი გააჩინა. პატარა საკეისრო კვეთით, 31 კვირის დაიბადა და 1,8 კილოგრამს იწონის, რაც მისი სტადიისთვის ნორმალურია. მშობლების ვინაობა გასაიდუმლოებულია. ცნობილია, რომ დედა დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, 36 წლის ქალბატონია. იგი ერთ-ერთია იმ ხუთი მანდილოსნიდან, რომელთაც რეპროდუქტიული ორგანო გადაუნერგეს. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მომავალი წლის დასაწყისში კიდევ ერთი პაციენტი გახდება დედა. საინტერესოა ისიც, რომ ბრიტანელის შემთხვევაში დონორი ოჯახის ახლობელი, 61 წლის ქალი, ორი შვილის დედა იყო, რომლის საშვილოსნოც სრულიად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. გადანერგვის ოპერაციიდან ერთ წელიწადში ქალს ხელოვნური განაყოფიერება ჩაუტარდა, შედეგად კი სრულიად ჯანმრთელი ბიჭუნა გაჩნდა.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

რას იწვევს ძილის ნაკლებობა

თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ძილის ნაკლებობაა. ჯერ კიდევ 1942 წელს, რიგით ადამიანს დღე-ღამეში საშუალოდ 8 საათი ეძინა, დღეს კი ეს მაჩვენებელი 6,8 საათამდე შემცირდა. არადა, მედიკოსები 7-9 საათიან ძილს გვირჩევენ. ჩატარებული გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ ამერიკელთა 40%-ს 7 საათზე ნაკლები სძინავს, ხოლო დაახლოებით 70 მილიონ ამერიკელს ძილის დარღვევები სტანჯავს. თითქმის ყველამ იცის, რაოდენ მნიშვნელოვანია გამოძინება, მაგრამ ცოტა თუ ხვდება, რა ნეგატიურ შედეგებს იწვევს არასაკმარისი ძილი. ერთ-ერთი რისკი გაღიზიანებადობაა. როგორც ებრაელმა სწავლულებმა დაადგინეს, გამოუძინებლობის შემთხვევაში ირღვევა ადამიანის ემოციური სტაბილურობა, რასაც გაღიზიანებამდე მიჰყავს. ასეთ დროს ჭირს საქმის ბოლომდე მიყვანა, ანდა საერთოდ რამის კეთება.

ნაკლები ძილი თავისტკივილსაც იწვევს — მართალია, ჯერჯერობით მეცნიერებმა არ იციან, რითაა დაკავშირებული ძილის დარღვევები თავისტკივილთან, მაგრამ მედიკოსებმა ეს კავშირი უკვე საუკუნეზე მეტია დაადგინეს. უძილო ღამეებმა, შესაძლოა, ადამიანი გამუდმებულ თავისტკივილამდე მიიყვანოს. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ არასაკმარისი ძილის დროს საგრძნობლად ეცემა ხანმოკლე მეხსიერების ფუნქციონირება, რის გამოც ადამიანს უჭირს ახალი მასალის ათვისება. ნაკლები ძილი წონასთანაცაა კავშირში — ძილის უკმარისობა იწვევს წონაში მატებას და აძლიერებს შიმშილის გრძნობას. უძილობაც ერთგვარი სტრესია, რომელიც არღვევს ჰორმონალურ ბალანსს, აიძულებს ორგანიზმს, წარმოქმნას მცირე რაოდენობით ლეპტინი (ჰორმონი, რომელიც დანაყრებაზეა პასუხისმგებელი) და გაცილებით დიდი რაოდენობით გრელინი (ჰორმონი, რომელიც შიმშილის გრძნობას აკონტროლებს). შედეგად ადამიანს სულ შია. მკვლევარებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის დროსაც მონაწილეებს 88 საათის განმავლობაში დაძინების საშუალება არ მისცეს. შედეგად მათ რომ წნევა აეწიათ, ეს დიდი სიურპრიზი არ იყო, თუმცა, მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ ისინი, ვისაც საკმარისად არ სძინავს, ან ძილის დროს ხშირად იღვიძებენ და შფოთავენ, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი გულსისხლძარღვთა დაავადებებისკენ. ცნობილია, რომ ერთი უძილო ღამეც კი ორგანიზმს რისკის ქვეშ აყენებს და იმუნური სისტემის დასუსტებას უწყობს ხელს, ეს კი ინფექციების მიმართ მდგრადობას აქვეითებს.

თუკი ფიქრობთ, ხშირად ცივდებით, მაშინაც კი, როცა დღეებს თბილ ოფისში ატარებთ, პასუხი — არასაკმარისი ძილია. სწავლულებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომელშიც 153 ადამიანი მონაწილეობდა. ექსპერიმენტისას მათ ერთ ნაწილს დღე-ღამეში 8 საათი ან უფრო მეტი ეძინა, მეორე ნაწილს კი — 7 საათზე ნაკლები. ამის შემდეგ ისინი ერთნაირად ცივ ტემპერატურაზე ამყოფეს. ცდებმა აჩვენა, რომ ვისაც ძილის უკმარისობა აწუხებდა, სამჯერ უფრო ხშირად ხდებოდა ავად, ვიდრე ისინი, ვისაც სრულფასოვანი ძილი ჰქონდა. სწავლულები ამბობენ, რომ უძილობა შესაძლოა დიაბეტის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი გახდეს, რადგან ამ დროს ირღვევა მეტაბოლიზმის პროცესი. საერთოდაც, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა პირდაპირ კავშირშია ძილთან, მაგრამ აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იკვეთება: ადამიანებში, რომელთაც დღე-ღამეში 7-8 საათზე ნაკლები სძინავთ, უფრო მაღალია ნაადრევი სიკვდილის რისკი.

„სიცოცხლის ხის“ ორგანიზებით, უსინათლო ბავშვებისთვის ანიმაციური ფილმები გახმოვანდა

„საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით 7 მულტფილმის ადაპტირება უკვე დასრულდა

შვიდი დღესასწაული უსინათლო ბავშვებისთვის — „საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით, ფონდის „სიცოცხლის ხე“ ორგანიზებითა და არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალი, ბავშვი და სოციუმი“ ინიციატივით, უპრეცედენტო პროექტი განხორციელდა — უსინათლო და მცირემხედველი ბავშვებისთვის 7 ანიმაციური ფილმი გახმოვანდა. პირველად საქართველოში, ქართული ანიმაციური ფილმების ადაპტირება მოხდა ისე, რომ მათი აღქმის შესაძლებლობა უსინათლო ბავშვებს ეძლევათ. „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში, პროექტის პრეზენტაციას, ბანკის ხელმძღვანელებთან ერთად, აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ის ბავშვებიც ესწრებოდნენ, ვისთვისაც ეს ფილმები შეიქმნა.

პროექტის განხორციელების შედეგად, საფუძველი ჩაეყარა საქართველოში აუდიო დესკრიპციული (ტიფლო კომენტარები) მეთოდით ფილმების თარგმნას. ეს ნიშნავს, რომ მშობლებს აღარ მოუწევთ, უსინათლო და მცირემხედველ შვილებს აუხსნან, რა ხდება ანიმაციურ ფილმში. პროექტის ფარგლებში გახმოვანებულ ანიმაციურ ფილმებში დეტალურად და ბავშვებისთვის ადვილად აღსაქმელად გადმოცემულია ფილმის თითოეული კადრი. ფილმები 150 DVD დისკზე ჩაიწერა. დისკები დღის ცენტრებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებსა და სკოლებს უფასოდ გადაეცემათ.

პროექტის ფარგლებში შერჩეული შვიდივე ანიმაციური ფილმი დაამუშავეს და თარგმნეს პროფესიონალმა ანიმატორებმა. გახმოვანებისას გაითვალისწინეს უსინათლო და მცირემხედველი ბავშვების სურვილები, კონსულტანტებისა და ბავშვებთან მომუშავე მასწავლებლების რჩევები. ფილმების გახმოვანებისას მაქსიმალურადაა დაცული ესთეტიკური და ტექნიკური პარამეტრები.

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის **ირაკლი გილაურის** განცხადებით, ბანკი სამი მიმართულების სოციალურ პროექტს აფინანსებს — განათლება, გარემოს დაცვა და შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა: **„ამ პროექტების განსახორციელებლად სპეციალურად შეიქმნა ორგანიზაცია. სულ დავაფინანსეთ 20-მდე პროექტი. ბანკის ხელშეწყობით 900 პანდუსი გაკეთდა, თუმცა სამწუხაროა, რომ ხშირად ავტომფლობელები მათზე ავტომობილებს აჩერებენ. ანიმაციური ფილმების ადაპტირება, ბევრ უსინათლო ბავშვს ცხოვრებას გაულამაზებს. მალე მესამე საგრანტო კონკურსი გამოცხადდება და იმედია, უფრო მეტ პროექტს დავაფინანსებთ“.**

ამერიკის ელჩმა საქართველოში **რიჩარდ ნორლანდმა** „საქართველოს ბანკს“ მნიშვნელოვანი წამოწყება მოულოცა და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა: **„აქ მოსვლის რამდენიმე მიზეზი მქონდა. ჯერ ერთი ძალიან მიყვარს ანიმაციური ფილმები. გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი საზოგადოებისგან უყურადღებოდ არ არიან მიტოვებულნი. უსინათლო ადამიანებს მიეცათ შესაძლებლობა, დახვეწილი ტექნოლოგიის საშუალებით, ანიმაციურ ფილმებს უყურონ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. სასიამოვნოა, რომ კერძო ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ, რათა შშმ პირებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩართვის შესაძლებლობა მისცენ“.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალი ბავშვი და სოციუმის“ პროექტი ფონდმა „სიცოცხლის ხე“ პირველი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დააფინანსა. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია შშმ ბავშვთა მშობლებმა დააარსეს. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს შშმ ბავშვთა კეთილდღეობას საზოგადოებაში, დაიცვას მათი სამოქალაქო ინტერესები და უფლებები.

„ქალი, ბავშვი და სოციუმის“ დამფუძნებლის, **ნანა შარაშიძის** ინფორმაციით, საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებული 13 ათასი უსინათლო ადამიანიდან, 300-ზე მეტი ბავშვია. ისინი ვერ აღიქვამენ გამოსახულებებს, შესაბამისად ანიმაციური ფილმების გარეშე იზრდებიან.

პროექტის კონსულტანტი **ლაშა ცაიშვილი** იმედოვნებს, რომ საკითხით სხვა ორგანიზაციებიც დაინტერესდებიან და ისინი მეტი ანიმაციური, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმის ადაპტირებას შეძლებენ: **„დიდი მადლობა „საქართველოს ბანკს“, „სიცოცხლის ხეს“, პროექტში მონაწილე ყველა ადამიანს. ღვთის შეწევნით, ერთობლივად მოვახერხეთ და ამ საქმეს საფუძველი ჩავუყარეთ. ეს პროექტი დიდ როლს შეასრულებს უსინათლო ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციაში. მისი განხორციელებით ცისფერი ეკრანი უსინათლო ბავშვებისთვისაც აინთო. კარგი იქნება, თუ პროექტი გაგრძელდება, ამისთვის დიდი თანადგომა გვჭირდება“.**

„სიცოცხლის ხის“ დირექტორის, **თორნიკე გურულის** განმარტებით: **„ფონდმა შშმ ბავშვების მხარდასაჭერად მიმდინარე წელს ორი საგრანტო კონკურსი გამართა, რომლის ფარგლებშიც დააფინანსა 24 პროექტი და 500 ათას ლარზე მეტი მოცულობის საგრანტო რესურსი გამოყო. პროექტების ნაწილი უკვე განხორციელდა, ნაწილი კი, მიმდინარეობს“.** კონკურსის ყველა გამარჯვებულ პროექტს ზრუნვისა და კეთილი საქმეების კეთების სიმბოლოს — „სიცოცხლის ხის“ სტატუსი ენიჭება.

ნინო ლურსმანაშვილი

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125 დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.